ნიკოლოზ მიწიშვილი

ავღანისტანის ამბები

ოქტომბრის რევოლიუცია და აღმოსავლეთის ერები. ინგლისის ხელი შუა აზიაში და ავღანისტანი.—ამანულა ხანის რეფორმები.—ხოსტის აჯანყება 1924 წ.—ამანულას მოგზაურობა ევროპაში.—ახალი რეფორმების წინ. მეორე აჯანყება 1928 წელს და ამანულას გადადგომა. დასკვნა.

სახელმწიფო გამომცემლობა
1929

ქავკ. წ.-დ. ჯარის შტაბის
სტამბის გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა
ტფილისი, გორკის ქ. № 1
მთავ. 414. — ტირაჟი 3000

ავღანისტანის ამბები

დღეს შუა აზიაში ხდება მსოფლიო მნიშვნელობის ამბები. თუ ეს ამბები განვითარდა ისეთივე ტემპით და იმგვარივე მიმართულებით, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად,—ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ სულ მოკლე ხანში ვთელი შუა აზია გადაიქცევა ნამდვილი ომის ასპარეზად. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ბრიტანეთის იმპერიალიზმის ექსპანსია საბჭოთა საზღვრებთან არ გაჩერდება და პირველი ზონა, რომელიც მოექცევა ამ ომის გავლენის სფეროში, იქნება თურქესტანთან ერთად, ამიერკავკასიაც.

ამიტომ ქართველი მკითხველის მოქალაქეობრივი მოვალეობაა განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნოს თვალყური ინგლისის იმპერიალიზმის ყოველ ნაბიჯს შუა აზიასა და ჩვენს ახლო მდებარე მეზობელ ქვეყნებში და იქონიოს სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ზომებით, რა საშუალებითა და ხერხით იკაფავს გზას ჩვენი საზღვრებისაკენ იმპერიალისტური ინგლისი თავის ბნელ ზრახვათა განსახორციელებლად.

ყოველი მუშა, ყოველი გლეხი, ყოველი მშრომელი ჩვენი ქვეყნისა გაფრთხილებული უნდა იყოს ამ მიმართულებით, ხოლო ყოველი პატიოსანი ინტელიგენტი ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, შეეცადოს ფართო მასების

წინაშე იმ უდიდესი საფრთხის გაშუქებას, რომლის წინაშე იმყოფება დღეს მთელი საბჭოთა კავშირი და კერძოდ მისი საზღვრები აღმოსავლეთში, იმისა გამო, რომ ინგლისის კაპიტალი აწყობს ჩვენს წინააღმდეგ ათასნაირ პროვოკაციას.

სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია გაუზიარო ქართველ მკითხველს ზოგიერთი ფაქტიური მასალა, რომელიც დამიგროვდა მე ამ საკითხისადმი გამოჩენილი ინტერესისა გამო. რასაკვირველია, ჩემთვის შეუძლებელია მთლიანი და ამომწურავი მასალის მოცემა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის მცირედიც კი, რაიცა ქვევით იქნება გამოქვეყნებული, გამოიწვევს ქართველ მკითხველთა შორის ერთგვარ ინტერესს იმ ჯოჯოხეთურის და ყოვლად საძაგელი პოლიტიკის მიმართ, რომელსაც აწარმოებს იმპერიალისტური ინგლისი შუა აზიაში. და ვინაიდან ამ ჟამად ავღანისტანი გადაიქცა ამ პოლიტიკის უშუალო ობიექტად (და შეიძლება მსხვერპლადაც კი), მე ამასთან დაკავშირებით, შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით ავღანისტანის ამბებზე.

1.

ოქტომბრის რევოლიუციამ უდიდესი გავლენა იქონია აღმოსავლეთის ერთა გამოღვიძების საქმეში. ჩვენ ვხედავთ, რომ ოქტომბრის შემდეგ, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის წყალობითაც, ფეხზე დადგა ოსმალეთი, რომელმაც შესძლო ევროპიელების განდევნა, სულთანატის გაუქმება, რესპუბლიკის დამყარება და მნიშვნელოვანი რეფორმების ჩატარება თავის შინაურ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ოსმალეთი ჯერ კიდევ შორსაა იმ სოციალურ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ნორმათა გან-

ხორციელებამდე, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, მაგრამ უდავოა ერთი რამ: ოქტომბრის რევოლიუციის გავლენითა და სიახლოვეთი ოსმალეთში ჩაისახა უძლიერესი ეროვნული მოძრაობა, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა და რომლის წინსვლას აწი ევროპის ფული და ხარბაზანი ველარ შეაჩერებს.

უეჭველია ოქტომბრის გავლენა სპარსეთზედაც. და თუმცა ევროპის ინტერესები, კერძოდ ინგლისისა, უფრო ღრმადაა შეჭრილი სპარსეთის სახელმწიფოებრივ ყოფაცხოვრებაში; თუმცა ინგლისის კიპიტალი და სამხედრო ძალა მეტის ინტენსივობითაა შემოსალტული სპარსეთის ირგვლივ,—მაინც ჩვენ ყოველდღე მოწამე ვართ იმისა, რომ სპარსეთში დღითი დღე ძლიერდება სწორედ ის ძალები, რომელნიც წინაღუდგებიან ინგლისის გავლენას და ესწრაფიან სპარსეთის განთავისუფლებას ინგლისური იმპერიალიზმის კლანჭებისაგან. ამავე დროს სიმპატიები, რომელსაც ამჟღავნებს სპარსეთის მშრომელი ხალხი და ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის მიმართ, ცხადყოფენ იმ საერთო გეზს, საითკენაც მიიმართება ახალგაზრდა სპარსეთის ნებისყოფა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ქივა და ბუხარა, რომელნიც რუსის ჩინოვნიკების ხელში მოკლებული იყვენ არამც თუ საკუთარი კულტურის განვითარების ელემენტარულ საშუალებას, არამედ განიცდიდენ ვერაგულ კოლონიალური პოლიტიკის საშინელ სიმძიმეს,—ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გარკვეულად დგებიან საკუთარი კულტურისა და ყოფაცხოვრების აღორძინების გზაზე და, როგორც ცალკე რესპუბლიკები, შემოდიან საბჭოთა კავშირში.

უზარმაზარი მონღოლეთი, ეს შუა გული აზიისა, რომელსაც ყოველთვის ავიწროვებდა რუსეთის, ჩი-

ნეთისა და იაპონიის იმპერიალისტური ზრახვები, დღეს წარმოადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირის მეგობარსა და მისდამი კეთილგანწყობილ სახელმწიფოს, სადაც ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპები დღითი დღე პოულობენ ფართო გამოძახილს და პრაქტიკულ განხორციელებას.

მე არას ვიტყვი ჩინეთის ეროვნულ მოძრაობაზე, რომელიც ასე მძაფრად წარიმართა ევროპელების, კერძოდ ინგლისელების წინააღმდეგ. არც ინდოეთის შესახებ, სადაც, თვით ინგლისელების ანგარიშითაც კი, მალე უნდა დაინთოს ისეთივე ცეცხლი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამას წინად ჩინეთში.

ყველა ეს ქვეყნები მდებარეობს საბჭოთა კავშირის საზღვარზე და სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინის პოლიტიკამ აღმოსავლეთის ერთა მიმართ ასეთი უშუალო რეზონანსი გამოიწვია ამ ქვეყნებში.

თითქმის აღმოსავლეთის ყველა ქვეყნები, და კერძოდ შუა აზიისა, დაბეჭდულია ინგლისის მიერ, როგორც ბრიტანეთის კოლონია, თუ ნახევრად კოლონია. ამიტომ გასაგებია ინგლისის სიძულვილი საბჭოთა კავშირის მიმართ და მისი ბრძოლა ამ ქვეყნებში საკუთარი გავლენის შერჩენისა და განმტკიცებისათვის. ეს ბრძოლა კი თავის თავად გულისხმობს იმ სათავეს განადგურებას, საიდანაც მსოფლიოს მშრომელი ხალხი „სნეულდება“ ამბოხების სენით—ესე იგი, ბოლშევიზმის დამხობას.

უთუოდ ოქტომბრის რევოლიუციის მორალურ გავლენასაც უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ 1919 წელში ავღანისტანი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და რამდენიმეთ განთავისუფლდა ინგლისის ბატონობისაგან.

ავღანისტანი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს წინა აზიაში. ტერიტორიის საერთო მოცულობა უდრის 634,5 ათას კვ. კლმ. ავღანისტანი დაახლოებით ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე პოლონეთი და ერთნახევარჯერ მეტი უკრაინაზე. დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ავღანისტანი საზღვრობს სპარსეთს; ჩრდილოეთით —საბჭოთა კავშირს; ჩრდილო-აღმოსავლეთით—ჩინეთს; დასავლეთით და სამხრეთით—ინდოეთსა და ბელუჯისტანს. ავღანისტანი მთიანი ქვეყანაა. შუაზე გადაჭრილი გინდუკუშის მასსივით (15-18.000 ფტ. სიმაღლე). ზამთრობით მთების გადალახვა შეუძლებელია. ზაფხულობით გზები იხსნება უღელტეხილებზე ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე.

ნოყიერი და სახნავ-სათესად გამოსადეგი ადგილები მხოლოდ დაბლობებში მოიპოვება. სამხრეთი ნაწილი ავღანისტანისა წარმოადგენს ქვიშიან უდაბნოს.

მინერალურ სიმდიდრეთა შორის აღსანიშნავია ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, მარმარილო, ძვირფასი ქვები. აგრეთვე ნავთი. ავღანისტანის ბუნებრივი სიმდიდრენი ჯერ კიდევ დაახლოებითაც არაა შესწავლილი და მათ დამუშავებას და გამოკვლევას ხელს უშლის, სხვა მიზეზების გარდა, უგზოობაც.

ზოგიერთი ევროპიული წყაროების მიხედვით, მცხოვრებთა რიცხვი უდრის 12—15 მილიონს, თუმცა 1922 წელს გამოცემულ ავღანურ გეოგრაფიაში მცხოვრებთა რიცხვი გამოყვანილია 8 მილიონათ, რასაც ემატება 2.500.000 ავღანელი, რომელიც სცხოვრობს ინგლისის მიერ ჩამორთმეულ ტერიტორიაზე ინდოეთის საზღვართან.

მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა სხვადასხვანაირია: 50% შეადგენს წმინდა ავღანურ ტომებს; 20%-ი

ირანელებია; 15%-მდე თურქ-მონღოლური; შემდეგ—ინდოელები, არაბები, ებრაელები და სხვ.—15%-ი. რელიგია მუსლიმანურ-სუნნიტურია.

მცხოვრებთა ძირითადი სოციალური მასსა—გლეხობაა (სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა). გლეხობის გარდა ქალაქის ბურჟუაზია, სრულიად მცირედი და უმნიშვნელო; სასულიერო წოდება—გავლენიანი, მაგრამ ეკონომიურად შედარებით სუსტი (საეკლესიო მამულების და სხვ. სიმცირე); მსხვილი ვაჭრული ბურჟუაზია (უმთავრესად ჰინდო) და ე. წ. სარდარები, ანუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი არისტოკრატია, რომელიც თავის ქონებას და გავლენას იყენებს აღებ-მიცემობის საქმეში. ეს ჯგუფი ავღანისტანში დღეს ყველაზე უფრო პროგრესიულია და იგი ზურგს უმაგრებს ამანულა-ხანის თანამედროვე რეფორმებს. პროლეტარიატი ავღანისტანში თითქმის არაა. ავღანისტანის ეკონომიკა ნაკლებადაა დაკავშირებული დანარჩენ ქვეყნებთან. ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსი მსოფლიო ომამდე უდრიდა 38 ძილიონ მანეთს. მისი მთავარი კონტრაგენტებია—საბჭოთა კავშირი, ინდოეთი და სპარსეთი.

ავღანისტანში შეუზღუდველი მონარქიული წესწყობილებაა. არსებობს სახელმწიფო საბჭო, ადგილობრივი სათათბირო ორგანოებიც, მაგრამ მონარქის უფლებებს არაფერი ზღუდავს. სამინისტროები—სამხედრო, საგარეო, საფინანსო, განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის—მოქმედებენ ფადიშაჰის უშუალო ხელმძღვანელობით.

1919 წლის ომის გამო ავღანისტანმა დიდი ფინანსიური კრიზისი განიცადა. ამას დაემატა იმ სუბსიდიების მოსპობა, რომელსაც აძლევდა ინგლისი როგორც სახელმწიფოს, ემირის სახით, ისე ადგილობრივ ტომებთა მეთაურებს. 1922 წლიდან ავღანისტანში პირველად იქნა

შეშოლებული სახელმწიფო ბიუჯეტი. მოხდა გადასახადთა სისტემის რეორგანიზაცია და სხვ. და 1924 წლისათვის ამანულას რეფორმებმა უკვე შესაძლებელი გახადა სახელ. მწიფო ბიუჯეტის უდეფიციტოთ ჩატარება.

ავღანისტანის პოლიტიკური მნიშვნელობა განიხომება ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ვინაიდან ავღანისტანის ხელშია ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები, რომელთაც შევყავართ წინა და შუა აზიიდან—ინდოეთში. ამ პუნქტებს დღესაც შერჩათ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაა, რომ ავღანისტანის მოსაზღვრე ინგლისი (ინდოეთის მხრივ) სისტემატიურად ცდილობს ამ ქვეყნის მოქცევას თავის გავლენის სფეროში.

3

ინგლისის აგრესია ავღანისტანისკენ დაიწყო მეცხრამეტე საუკუნიდან, როცა მის მიერ თითქმის მთლიანად იქმნა დაპყრობილი ინდოეთი და ბრიტანეთის საზღვარი ავღანისტანს მიებჯინა. ინგლისი ხედავდა, რომ ავღანისტანის მოსაზღვრე ტომები, რომელნიც შეუწყვეტლივ აჯანყებებს აწყობდენ ინგლისის წინააღმდეგ—ყოველთვის პოულობდენ მონათესავე ავღანისტანის დახმარებას, მით უმეტეს რომ თვით ავღანისტანში აშკარა ანტი-ინგლისური განწყობილება სუფევდა.

ავღანისტანის დასუსტების მიზნით ინგლისმა რამოდენიმეჯერ შეუსია მას მოსაზღვრე სპარსეთი. ინგლისის კარნახით სპარსეთი სისტემატიურად არბევდა მოსაზღვრე ავღანისტანის სამხრეთ პროვინციებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა ნაპოლეონის გეგმები სპარსეთისა და ავღანისტანის გზებით ინდოეთის თავდასხმისა; მას შემდეგ, რაც მონარქიულმა რუსეთმა ფეხი მოიდგა შუა

აზიაში (თურქესტანი),—ინგლისმა გადასინჯა თავისი პოლიტიკა ავღანისტანის მიმართ.

მან 1809 წელს დასდო ავღანისტანთან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ინგლისი ვალდებული იყო დახმარებოდა ავღანისტანს იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს სპარსეთი თავს დაესხმოდა. ეს ხელშეკრულება ინგლისმა განაახლა 1855 და 1869 წლებში. მაგრამ პარალელურად ამისა, მეფის რუსეთიც დღითი-დღე აწვებოდა ავღანისტანს ჩრდილოეთიდან, დღითი-დღე აფართოვებდა თავის ტერიტორიას ავღანისტანის ირგვლივ და უკვე ხელს უფათურებდა ინდოეთის საზღვრებს. ამრიგად, მე-19 საუკუნის დამლევს ორი უზარმაზარი სახელმწიფო თვალში მიაჩერდა ერთი მეორეს ავღანისტანის გაღმა-გამოღმა მხარედან.

აშკარა იყო, რომ ავღანისტანი გარდაიქცეოდა ამ ორი გოლიათის ბრძოლისა და ინტრიგების ასპარეზად: ან რუსეთის გავლენა დარჩებოდა ავღანისტანში, ან ბრიტანეთისა. და ასეც მოხდა. ავღანისტანი გადაიქცა ბურთად, რომელიც გაჰქონდა და გამოჰქონდა ამ ორ დახელოვნებულ მოთამაშეს.

ინგლისმა მიმართა ნაცად ხერხს: ფულით, დაპირებით შეეცადა ავღანისტანის გადმობირებას თავის მხარეზე. ეს შეუძლებელი გახდა იმ ხანად, მით უმეტეს, რომ არც რუსეთი აკლებდა ცდას. როცა დიპლომატიამ ვერ გასჭრა, საქმე ბიდგა იარაღზე.

პირველი ომი ავღანისტანისა და ინგლისის შორის დაიწყო 1838 წელს [1]) და გაგრძელდა ოთხი წელიწადი.

---

[1]) 1839 წელს ინგლისმა მოახდინა ავღანისტანის ოკუპაცია და სამი წლის განმავლობაში ინგლისის დიდძალი ჯარი იდგა ქაბულში. დარწმუნებული, რომ ქვეყანა დამშვიდდა, ინგლისმა ჯარის ნაწილი მოხსნა და ინდოეთში გაიწვია. მაგრამ 1841 წლის 2 ნოემბერს ქაბულში მოხდა საშინელი ამბოხება: ამოწყვეტილ იქნა მთელი ინგლისის ჯარი, რიცხვით 16.500 კაცი. ინგლისის ელჩი ბერნსი და საელჩოს ყველა თანამშრომლები დახოცილ იქნენ. გადარჩა ერთადერთი კაცი—ექიმი ბრაიდონი, რომელიც ცოცხალ-მკვდარი ჩავიდა ჯელალაბადს და აქედან გადავიდა ინდოეთში.

მეორე ომი დაიწყო 1878 წელს და გასტანა 1882 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ თუ ერთის მხრივ ავღანისტანი იჭვის თვალით უყურებდა ინგლისს და არ სჯეროდა მისი, ასევე უნდობლად უცქეროდა იგი რუსეთს, რომლის დიპლომატიური მისიები ქაბულიდან თითქმის ყოველთვის უშედეგოდ ბრუნდებოდენ.

ამიტომ ავღანისტანს რუსეთთანაც უხდებოდა ომის წარმოება. 1885 წელს ავღანისტანს შეესია რუსის ჯარი ღენერალ კომაროვის მეთაურობით. 1893 წელს—პოლკოვნიკ იონოვის რაზმი და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ავღანელები საერთოდ ღარიბი ხალხია, უკულტურო და რელიგიურ ფანატიზმით გამსჭვალული. მაგრამ ამავე დროს უაღრესად თავისუფლების მოყვარულნი არიან და განთქმული თავისი გმირობით. ამიტომ ამ პატარა სახელმწიფოს თავდადებული ბრძოლა ორ ფრონტზე ორი უდიდესი სახელმწიფოს წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის ავღანისტანის გამარჯვებით თავდებოდა.

ეს გაითვალისწინა ინგლისმა და ხელახლა შეაბრუნა თავისი პოლიტიკა: ავღანისტანის იარაღით დაპყრობა შეუძლებელი გახდა. კიდევაც რომ ეს მომხდარიყო, ინგლისი იძულებული იქნებოდა შეენახა ავღანისტანში დიდი ჯარი, რაც გამოიწვევდა აუარებელ ხარჯს და მსხვერპლსაც, ვინაიდან ამ ჯარს მუდმივი ბრძოლა ექნებოდა ავღანისტანის სხვადასხვა ტომებთან.

ამიტომ ინგლისი შეეცადა გადაექცია ავღანისტანი ბუფერულ სახელმწიფოდ და ხელი შეეწყო მისთვის.

ამით ისარგებლა ავღანისტანმა. ის გამთელდა, გაერთიანდა, მოისვენა შეუწყვეტელი ომებისაგან და შედა-

რებით მოძლიერდა. მთელი ოცი წლის განმავლობაში (1880—1901) გრძელდებოდა ეს ხელსაყრელი მშვიდობიანი მდგომარეობა. ამ ხანში აღლანისტანმა შექმნა საკუთარი რეგულიარული ჯარი (100.000 კაცი), გააუმჯობესა ვაჭრობის საქმე, ააგო ციხე-სიმაგრეები, შედარებით მოაგვარა ფინანსები და სხვ. (ავღანისტანი ღებულობდა ინგლისისაგან ყოველწლიურ სუბსიდიას. [1])

თუმცა შიში და ინგლისისადმი უნდობლობა ავღანისტანში მუდმივ არსებობდა, მაგრამ ამ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ უფრო ცუდი განწყობილება იყო. ინგლისელებმა თითქოს შესძლეს ავღანისტანის მშვიდობიანის გზით გადაბირება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავღანისტანის მაშინდელი ემირი აბდურახმანი ინგლისის წარმომადგენლობას თავის ტერიტორიაზე მაინც არ უშვებდა. და საერთოდ ავღანისტანში უცხოელების შესვლა, თუნდაც მშვიდობიანობის მიზნით, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველგვარ არეულობის გამომწვევად უცხოელები მიაჩნდათ.

ინგლისის მდგომარეობა ავღანისტანში უფრო გაუმჯობესდა იმით, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის 1907 წელს მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმების ძალით რუსეთმა აღიარა, რომ ავღანისტანის საქმეებში მას ინტერესი აღარა აქვს, რომ ის ამ საქმეებში ამიერიდან არ ჩაერევა და ყოველგვარ დამოკიდებულებას ავღანისტანთან იქონიებს მხოლოდ ინგლისის საშუალებით.

ამნაირად, ინგლისი სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა ავღანისტანში და ეს მდგომარეობა გაგრძელდა

---

[1]) აბდურახმანი ღებულობდა ინგლისისაგან 1.500.000 მანეთამდე წლიურად, მაგრამ ვინაიდან მან დაუთმო ინგლისს საზღვარზე სტრატეგიული მნიშვნელობის დიდი ტერიტორია,—ეს სუბსიდია ერთნახევარჯერ იქნა გადიდებული.

1914 წლამდე, სანამ დიდი ომი არ დაიწყო. ომის დროს ავღანისტანმა ნეიტრალურად გამოაცხადა თავი, თუმცა ოსმალეთის, გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენლები თავის ტერიტორიაზე შემოუშვა და ეს უკანასკნელნი ომის დროს ძლიერ ანტი-ბრიტანულ პროპაგანდას აწარმოებდენ ავღანისტანიდან მთელს შუა აზიაში.

სხვათა შორის, ომის დროს ქაბულში მოხდა პირველი თათბირი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ბლოკის შექმნის შესახებ ევროპიელთა ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკულად ეს გაერთიანება არ განხორციელებულა.

4.

ახალი ავღანისტანის ისტორია იწყება რუსეთის რევოლიუციის შემდეგ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და აღიარა უფლება ერთა თვითგამორკვევისა.

ავღანისტანმა იგრძნო, რომ რუსეთის მხრივ მას უკვე მტერი აღარა ჰყავს, რომ ეხლა მისი ერთადერთი მტერი ინგლისია. რუსეთის რევოლიუციის ზეგავლენით, ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოწინავე პროგრესიული ელემენტების წონა ავღანისტანში. აღსანიშნავია, რომ წინეთ ავღანისტანში თითქმის სრულიად არ არსებობდა პრესა. ამჟამად ავღანისტანში გამოდის შვიდი პერიოდული ორგანო. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ავღანისტანში მძლავრად იფეთქა ეროვნულმა მოძრაობამ და ეს მოძრაობა ამანულა ხანის მეთაურობით [1]) წარიმართა მთელი თა-

[1]) ამანულა ხანი დაიბადა 1892 წელს. ის მესამე შვილია ემირ-ხაბიბულასი. მისი აღმზრდელი იყო ინდოეთიდან გადმოსული ცნობილი ემიგრანტი მოულეი-ნეჯერ-ალი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდოეთისა და აღმოსავლეთის ერთა ეროვნულ მოძრაობასთან. ნეჯერ-ალის დიდი გავლენა ჰქონდა ავღანისტანის მო-

ვისი სიძლიერით ინგლისელების წინააღმდეგ. თავისუფლება, დამოუკიდებლობა,—ეს იყო ახლად გაღვიძებული ავღანისტანის საბრძოლველი ლოზუნგი.

ამ ლოზუნგმა გაიმარჯვა და ავღანისტანმა ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა. საინტერესოა დეტალები ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა [1]).

„ემირ ხაბიბულამ იმეფა 18 წელიწადი. ძველი ჩვეულების მიხედვით, თავისი მეფობის მე-18 წლის თავზე, ემირ ხაბიბულა გაემგზავრა ჯელალაბადში დასასვენებლად. ნადირობის დროს იგი მოკლული იქმნა რევოლვერით უცნობი პირის მიერ 1919 წლის 21 თებერვალს.

როდესაც ემირ ხაბიბულა ჯელალაბადში გაემგზავრებოდა ხოლმე, ის ყოველთვის სტოვებდა ქაბულში თავის მოადგილეთ ერთ-ერთ შვილს.

მისი სიკვდილის წელს ემირის მოადგილედ ქაბულში დატოვებული იყო ეხლანდელი ფადიშაჰი ამანულა (ემირის მესამე შვილი).

მოკლული ემირის გვამი გადმოსვენებული იქმნა სანადირო ადგილიდან ჯელალაბადში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა აგრეთვე ხაბიბულას ძმა—სარდარი ნერსულა-ხანი. ნერსულა-ხანმა ძმის სიკვდილისთანავე საკუთარი თავი ავღანისტანის ემირად გამოაცხადა და ხალხიც თავის ერთგულებაზე დააფიცა. ეს ამბავი მალე ქაბულშიაც

წინავე ახალგაზრდობაზე. ჯერ კიდევ 1908—9 წლებში ავღანისტანში მოხდა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. ამ მოძრაობას თანაუგრძნობდა ამანულა ხანიც. ბაგრამ შეთქმულება აღმოჩენილ იქმნა და ნეჯერ-ალიმ გაატარა საპყრობილეში 11 წელიწადი, სანამ ამანულა ხანი ტახტზე არ ავიდა.

[1]) ამონაწერი, რომელიც ამოღებულია ავღანური წიგნიდან—„ავღანისტანის ისტორია", გამოქვეყნებულია ჟურნალში Бюллетени прессы Среднего Востока". Издание Сред-Аз. Бюро ЦКВКП (б) 1928. № 2. Ташкент.

მოვიდა. გამოქვეყნდა აგრეთვე ნერსულა-ხანის მოწოდებაც ქაბულის მთავრობისა და გავლენიანი პირებისადმი, რომელშიაც მოთხრობილი იყო ხაბიბულას სიკვდილის ამბავი და ისიც, რომ ის, ნერსულა-ხანი, ამიერიდან არის ავღანისტანის ფადიშაჰი. ამიტომ ის წინადადებას აძლევდა ამანულა-ხანს გამოეცხადებინა ქაბულში ეს ამბავი და ხალხიც დაეფიცებინა ახალი ფადიშაჰის ერთგულებაზე.

ამანულამ შეასრულა ეს ბრძანება. მან თავი მოუყარა სასახლეში სახელმწიფოს ყველა წარჩინებულ პირთ და წაუკითხა მათ ნერსულა-ხანის მოწოდება. დამსწრენი სდუმდენ. მაშინ ამანულამ მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით:

„მოკლული ხაბიბულა იყო როგორც ჩემი, ისე თქვენი მამა. ეხლა დრო არ არის მწუხარებისა და ვიშის. ჩვენ უნდა ავიღოთ სისხლი ჩვენი მამისა, რომელიც ასე უმიზეზოდ და ვერაგულად იქმნა მოკლული. და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ უფლება გვექნება მივსცეთ თავი მწუხარებას, ამ წუთში კი საჭიროა განვიხილოთ ნერსულა-ხანის მოწოდების მეორე ნაწილი (ის, რომ მან თავი გამოაცხადა ფადიშაჰად. ნ. მ.) და გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამის შესახებ. პირადათ მე არ შემიძლია ჩავსთვალო ნერსულა-ხანი ისეთ პიროვნებად, რომელსაც წილი არ უდევს მამაჩემის მკვლელობაში და ამის გამო ნერსულ-ხანის მომხრე მე ვერ ვიქნები“.

მეორე თათბირის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, რომ ისინი ვერ დასთანხმდებიან ნერსულა-ხანის ფადიშაჰად გამოცხადებაზე ორი მიზეზის გამო: ერთი ის, რომ ყორანის მიხედვით ტახტი გადადის გარდაცვალებული მეფის ძმაზე მხოლოდ მაშინ, თუ მეფის ორი უფროსი შვილი მემკვიდრეობაზე უარს განაცხადებენ. მეორე, რომ ხაბიბულას მკვლელი ჯერაც აღმოჩენილი არაა და მკვლე-

ლობის ყველა გარემოების გამოკვლევამდე შეუძლებელი ხდება ფიცი მიეცეს ნერსულა ხანს.

ამაზე ამანულამ განაცხადა შემდეგი:

„მე არავითარ პრეტენზიებს რაიმეზე არ განვაცხადებდი, რომ სახეში არ მქონდეს ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა და, რომ ამ უკანასკნელ საქმეს ჩემ პირად ინტერესებზე მაღლა არ ვაყენებდე. ამას ისიც უნდა მიუმატო, რომ იშვის მიტანიდან პირდაპირ ბრალდების წარდგენამდე ძლიერ ცოტა მანძილია: მეტად გასაკვირია, მაგალითად, რომ მამაჩემის მკვლელი ჯერაც ვერ აღმოაჩინეს. თუმცა ფადიშაჰს გარს ეხვია სამასამდე კაცი. არავითარი გამოძიება არსებითად არ სწარმოებს. რასაკვირველია, ყველას უფლება აქვს გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იქნას ფადიშაჰად არჩეული, მაგრამ პირადათ მე ვერ შოვისვენებ მანამდე, სანამ მკვლელი (ვინც უნდა იყოს იგი) აღმოჩენილი არ იქნება. ვინც მე მომყვება – მათი მადლობელი დავრჩები, ხოლო ჩემი აზრის მოწინააღმდეგეებს კამათს არ დავუწყებ“.

ამ სიტყვის შემდეგ დამსწრენი ერთხმად აცხადებენ, რომ ხაბიბულას სისხლს ისინი აიღებენ, მაგრამ მათ სურთ ამ საქმისათვის სისხლი დაღვაროს ამანულასთან ერთად, რომ მხოლოდ ამანულა-ხანი უნდა იქნეს ავღანისტანის ფადიშაჰი.

ამანულამ მადლობა გადაუხადა მათ და განაცხადა, რომ მარტო დამსწრეთა სურვილი საკმარისი არაა და საჭიროა ხალხის აზრიც. ამიტომ ამანულამ განკარგულება გასცა, სასწრაფოდ შეეკრიბათ ხალხი. ორი საათის შემდეგ ამანულა, ცხენზე მჯდარი, ეჩვენა ხალხს და წარმოსთქვა მეტად ამაღელვებელი სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ვერაგულად მოუკლეს მას მამა, თუ როგორ

უსინდისოთ მიითვისა ემირობა ნერსულა-ხანმა და სხვ. ამანულამ იძრო ხმალი და თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ ამ ხმალს ის არ ჩააგებს, სანამ არ აღმოაჩენს ნამდვილ მკვლელს და მკვლელობის მონაწილეებს. ხალხმა აღტაცებით აღუთქვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ახალ ემირს, რომლის პატივსაცემლად ისმოდა ათასი მისალმება და ზარბაზნის სროლა.

ჯელალაბადმა რომ ეს ამბავი გაიგო, აიძულა ნერსულა-ხანი უარი განეცხადებია ემირობაზე და მოეხსნა ყოველგვარი პრეტენზიები. ნერსულა-ხანმა ეს შეასრულა და ის გააგზავნეს ქაბულში, ხოლო ამანულა-ხანს ერთგულება შეჰფიცეს.

15 დღის განმავლობაში ავღანისტანის ყველა პროვინციამ აღიარა ამანულა მთელი ავღანისტანის ემირად.

ავღანისტანი ამ დროს ინგლისისაგან იყო დამოკიდებული და უფლება არ ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან უშუალო კავშირისა. ამანულამ ხალხს განუცხადა, რომ ის არ დაიდგამს თავზე სამეფო გვირგვინს, სანამ მთელი ხალხი სიტყვას არ მისცემს მას, რომ ისინი იბრძოლებენ ავღანისტანის განთავისუფლებისათვის. მე არ უწოდებ ჩემ თავს ფადიშაჰს მანამდე,—განაცხადა ამანულამ,—სანამ ავღანისტანი სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფებაო და, როდესაც ამაზედაც ხალხის სრული თანხმობა მიიღო, მან სთქვა: „დღეიდან, თუ ღმერთმა ინება, ავღანისტანი იქნება დამოუკიდებელი, როგორც შინაურ საქმეებში, ისე უცხოელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაშიო“,

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი სახელი გაუთქვა ამანულა-ხანს მთელს ავღანისტანში და, უდავო გახდა მისი ფადიშაჰობა. [1])

ტახტზე ასვლისთანავე ამანულამ განაცხადა, რომ ის არაა ინგლისის წინააღმდეგი და, რომ ის შეეცდება მეგობრულად დარჩეს განწყობილი ინგლისთან. მაგრამ როდესაც ჩრდილოეთ ინდოეთის ტომები ინგლისს აუჯანყდნენ, ინგლისელები ამტკიცებდენ, რომ ამანულა ეხმარებოდა მათ. ამ ამბოხების პროცესში ამანულამ წარუდგინა ინგლისს მოთხოვნილება ჰაიბერის უღელტეხილის დაცლის შესახებ (ეს უღელტეხილი წარმოადგენს ინდოეთში შესავალ კარს ჩრდილოეთიდან). ინგლისმა ამაზე უარი განაცხადა. ტომების თავდასხმანი გაძლიერდა, ხოლო ავღანისტანის დახმარება ამ ტომებისადმი დღითი დღე აშკარა ხდებოდა,—ინგლისმა დასძრა ავღანისტანის წინააღმდეგ თავისი ჯარი ინდოეთიდან და 1919 წელს მაისში დაიწყო ომი.

ავღანელები და თავისუფალი მოსაზღვრე ტომები შეიჭრენ ინდოეთში ჰაიბერის უღელტეხილით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ინგლისის ჯარის მიერ უკუქცეულ იქნენ.

ბრძოლის პერსპექტივა, ეტყობოდა, არ იყო ავღანისტანის სასარგებლოდ და ამანულა შერიგებაზე დასთანხმდა. 1919 წელს 8 ავგისტოს ინგლისსა და ავღანისტანს შორის დადებულ იქმნა საზავო ხელშეკრულება. ამ პი-

---

[1]) ამანულას ევროპიდან დაბრუნების ხანს გაზეთ „ფორრუორდ"-ი ცნობილი ინდოელი მოღვაწე ჯავხარლავ-ნერუ სწერდა: „ამანულა მშვენივრად ხედავდა, თუ საიდან მოელოდა მას განსაცდელი. მან უარი განაცხადა ინგლისთან კავშირზე და შეუთანხმდა ოსმალეთსა და სპარსეთს, ხოლო ეს ორი ქვეყანა კი დაკავშირებულია საერთო შეგნებით საბჭოთა კავშირთან".

რობის ძალით ავღანისტანი უარს აცხადებს ინგლისის სუბსიდიებზე, ძას ეკარგება ინდოეთიდან იარაღის შემოტანის უფლება, იძულებული ხდება შემოუშვას ქაბულში ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენელი და ამასთანავე ღიად რჩება ჰაიბერის უღელტეხილის საკითხი, რომელსაც ფლობს ინგლისი.

მაგრამ გარდა ასეთი უარყოფითი მხარეებისა, ამ ხელშეკრულებას მაინც ჰქონდა ავღანისტანისთვის დიდი მნიშვნელობა იმით, რომ ინგლისმა აღიარა ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობა, უარი განაცხადა კონტროლზე და სცნო ავღანისტანის საგარეო პოლიტიკის სრული თავისუფლება.

შექმნილ პირობებში ეს დიდი მიღწევა იყო.

ავღანისტანის დამოუკიდებლობა პირველად რ. ს. ფ. ს. რ.-მ იცნო. 1919 წლის ნოემბერში ლენინი სწერდა ამანულა-ხანს: „ორ დიდ ხალხთა შორის მუდმივი დიპლომატიური დამოკიდებულების დაწესებით გაიშლება ფართო შესაძლებლობანი ურთიერთისადმი დახმარებისათვის უცხოელი მტაცებლების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, როცა ისინი სხვისი თავისუფლების აღკვეთას მოისურვებენო“. 1921 წლის თებერვალში კი დადებულ იქნა მეგობრობისა და მშვიდობიანობის ხელშეკრულება ამ ორ სახელმწიფოს შორის და ამავე ხასიათის ხელშეკრულება 1926 წელს.

ამანულა-ხანმა დაგზავნა ელჩები ევროპაში და ავღანისტანის დამოუკიდებლობა სცნო თითქმის ყველა დასავლეთ სახელმწიფომ. (მათ შორის ყველაზე ადრე—იტალიამ).

5

დღეს ყველასათვის უდავოა ის ფაქტი, რომ ავღანისტანის დამოუკიდებლობისა და შინაურ რეფორმათა გატარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა დღე-

ვანდელ ფადიშაჰმა ამანულამ, რომლის შესახებაც ინგლისური პრესა სწერდა, რომ „აზიაში ის ასრულებს იმავ. როლს, როგორსაც თავის დროზე რუსეთში—პეტრე დიდიო“.

რას წარმოადგენს ის რეფორმები, რომელსაც ანხორციელებდა ამანულა დღიდან ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რითი იყო საგულისხმო ეს რეფორმები?

ამანულა ხანი ანხორციელებდა თავის ქვეყნის პროგრესიულ-ბურჟუაზიულ ელემენტების ზრახვებს. ეს ელემენტები—ბიუროკრატია, სერდარები, არისტოკრატია, ვაჭრობაში ჩაბმულნი მიწათმფლობელნი და სხვ. მოითხოვდენ მეტ ასპარეზს, მეტს თავისუფლებას თავიანთ მოქმედებისათვის და ვინაიდან ამ ასპარეზს ზღუდავდა ინგლისის ძალა და კაპიტალი,—ბუნებრივი იყო ამ ელემენტების ინტერესთა შეჯახება ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკასთან ავღანისტანში. ეს მოხდა 1919 წლის თებერვალში ზემოხსენებულ ჯგუფების სასარგებლოდ:

იქმნება ცენტრალისტური ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სპობს თავადთა და ღუბერნატორთა ანარქიულ ხელისუფლებას. ავღანისტანი ადმინისტრატიულად ხდება მთლიანი ერთეული, რომელსაც განაგებს ცენტრალური მთავრობა ფადიშაჰის მეთაურობით;

იქმნება ერთი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი;

ხდება ჯარის ძირითადი რეორგანიზაცია;

ტარდება სასკოლო რეფორმა და იხსნება მრავალი პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებელი;

კულტურულ მუშაკთა ახალი კადრის შესაქმნელად იგზავნება მრავალი ახალგაზრდა სწავლის მისაღებად უცხოეთში;

ნატურალური გადასახადის მაგიერ წესდება ფულადი გადასახადი;

ისპობა შინაური საბაჟოები (თვითეული პროვინციის საზღვრებზე);

საფუძვლები ეყრება ახალ მრეწველობას;

არსდება რამოდენიმე მონოპოლიური საავაჭრო კომპანია;

ცხადდება ყველა რელიგიათა და ეროვნებათა სრულუფლებიანობა და სხვ.

ეს რეფორმები ისეთ ქვეყანაში, სადაც გუშინ კიდევ მონობა იყო გამეფებული მთელი თავისი საშინელებით, ზოგიერთი ჯგუფების მიერ მიჩნეულ იქმნა როგორც კრამოლა და რევოლიუცია.

ვინ უნდა წასულიყო ამ რეფორმების წინააღმდეგ?

ამანულას რეფორმებს ბევრი და ძლიერი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა.

პირველად ყოვლისა სასულიერო წოდება, რომელსაც ჩამოერთვა სამართლის ქმნის უფლებათა ნაწილი; მათვე ჩამოერთვა მონოპოლიური უფლება განათლების საქმეში და შემოსავალის წყაროები (საეკლესიო მამულები).

შემდეგ ფეოდალები, რომელთაც წაერთვა მრავალი პოლიტიკური უფლებები, რადგან ძველად თვითეული ფეოდალი თავის პროვინციაში ნამდვილი მეფე იყო და ფადიშაჰს თითქმის ნომინალურად ემორჩილებოდა. ცენტრალისტურმა სახელმწიფო აპარატმა ეს ფეოდალები მოსტეხა.

უკმაყოფილო იყვნენ ზოგიერთი ტომებიც, რომელთა უფლებები შეზღუდულ იქმნა შინაგართველობის, გადასახადის, სამხედრო ბეგარის შემოღების და სხვ. მხრივ.

უკმაყოფილო დარჩა რეფორმებით აგრეთვე წვრილი ვაჭრებიც, ვინაიდან ახალი სააქციო კაპიტალის მოძრაობამ მცხოვრებთა ეს კატეგორია სავსებით გააღარიბა. მაგრამ მთავარი მოწინააღმდეგე ახალი რეფორმებისა და ყველაზე უფრო უკმაყოფილო ამ რეფორმებით იყო უმთავრესად ინგლისი, რომელიც დიდის ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ამანულა-ხანის ყოველ ნაბიჯს. უკმაყოფილო იყო განსაკუთრებით იმიტომ, რომ როგორც ავღანისტანის დამოუკიდებლობა, ისე ახალი, პროგრესიული რეფორმები დიდს ყურადღებასა და სიმპატიებს იწვევდა ავღანისტანის მოსაზღვრე ინდოეთში და საერთოდ მთელ მუსულმანურ ქვეყნებში. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ ინგლისის მიერ დამონებული ეს ქვეყნები ხვალ დაადგებოდენ ავღანისტანის გზას. ცივილიზაციას და კულტურას ინგლისის იმპერიალიზმი იყენებს იმისათვის, რომ დაიმონოს და დაიმორჩილოს სხვა უკულტურო ერები და როდესაც ეს უკანასკნელნი მოისურვებენ კულტურისა და პროგრესისაკენ სვლას,—ინგლისის იმპერიალიზმი მათ ცეცხლითა და მახვილით აბრუნებს უკან.

ინგლისის ინიციატივითა და შემწეობით 1924 წლის მარტს ავღანისტანში დაიწყო აჯანყება ამანულა-ხანის რეფორმების წინააღმდეგ. ამბოხება, დაიწყო ქალაქ ხოსტადან. ამბოხებას მიემხრო ყველა უკმაყოფილო ელემენტები, რომელთა შესახებ ზევით იყო ნათქვამი. ამ აჯანყებას, როგორც ეს უკვე დოკუმენტალურადაა დამტკიცებული, ხელმძღვანელობდენ ინგლისის აგენტები და მათ შორის ორი მთავარი ორგანიზატორი: მოლები აბდულა ლენგი და აბდურ რაშიდი. მათის კარნახით ამბოხებულებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქაბულის მთავრობას:

გაუქმებულ იქმნას ახალი კანონმდებლობა, რომელიც არღვევს თემობრივ წესწყობილებას და ეწინააღმდეგება შარიათს;

შემცირდეს გადასახადები;

განდევნილ იქმნას ქაბულიდან ყველა ევროპიელები, რომელნიც ატყუილებენ ემირს და ატყავებენ ხალხს;

დაიხუროს ქალთა სკოლა;

შეიცვალოს მთავრობა.

აღდგენილ იქმნას თავისუფალი ვაჭრობა ინდოეთთან (მოსპობა ლიცენზიების, რომლითაც ირკვევა, თუ რა საგანი გააქვთ და რა შემოაქვთ) და სხვ.

ვინაიდან ამბოხებამ ფართო ხასიათი მიიღო და მატერიალური ბაზაც ძლიერი გამოუჩნდა (ინგლისის ფული და იარაღი),—ქაბულის მთავრობამ ამჯობინა დათმობაზე წასვლა. მოწვეულ იქმნა ქაბულში კლერიკალურ ფეოდალური ელემენტებისაგან შემდგარი სათათბირო („ჯირგა"), რომელმაც მიიღო მთელი რიგი ისეთი დადგენილებებისა, რომელნიც ფაქტიურად აუქმებდენ ამანულა-ხანის რეფორმათა მთელ წყებას.

და როდესაც მთავრობა დასთანხმდა „ჯირგას" ამ მოთხოვნილებებზე, ამის შემდეგ სათათბირომ დაადგინა ეცნობებია ეს გადაწყვეტილებანი ამბოხებულ ტომებისათვის და გამოექვეყნებინა მოწოდება, რომელ'მიაც ხალხის მოლალატეთ ითვლებოდა ყველა ის, „ვინც იარაღით ხელში წინაღუდგებოდა მთავრობას".

„ჯირგას" მოწოდებამ მეამბოხეებს გამოაცალა იდეური საფუძველი, რამაც გამოიწვია მათ შორის ყოყმანი და უთანხმოება. ამით ისარგებლა მთავრობამ, მიიღო ენერგიული სამხედრო ზომები და ამბოხება განადგურებულ იქმნა ისეთი სისწრაფით, რომ ინგლისელებისთვის

ეს სრულიად მოულოდნელი იყო: სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისელები რეკლამას უკეთებდენ ავღანისტანის ტახტზე ასაყვანად თავის პენსიონერს ა ბ დ უ ლ ქ ე რ ი მ ს, რომელიც ინდოეთში სცხოვრობდა,—ავღანისტანის მთავრობამ სძლია ამბოხება და თავის მდგომარეობა განამტკიცა.

ხოსტის ამბოხების ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ ავღანისტანის მთავრობას ეს ამბოხება მეტად ძვირად დაუჯდა.

6

ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ამანულა ხანი შეეცადა მშვიდობიანობის დამყარებას იმ პროვინციებში, სადაც ფეხი მოიკიდა ინგლისის პროვოკაციამ. ამანულა-ხანმა შემოიარა მთელი ავღანისტანი და პირადათ ესაუბრა სხვა და სხვა ტომების წარმომადგენლებს. ამ მოგზაურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ავღანისტანში ისე საზღვარგარეთ. საინტერესოა ამ მხრივ ინგლისური გაზეთის „პაიონირის“ წერილი (ინდოეთი) (2. 9. 1927).

„ეხლა,—სწერს „პაიონირი“,—გზების შეკეთებისა და ავტომობილ-ჰაეროპლანების შემოტანის შემდეგ, ავღანისტანში მოგზაურობა ადვილი შეიქმნა. და ემირ ამანულას აქვს საშუალება იმოგზაუროს თავის ქვეყანაში ისეთივე სისწრაფით, როგორც ვიცე-კოროლი მოგზაურობს ინდოეთში. ემირი ამანულა მეტად ენერგიული მმართველია და, როგორც ასეთი, ის გაბედულად იყენებს ყოველ საშუალებას თავის მოგზაურობისათვის. იგი მშვენიერი შოფერია და დიდებულად მართავს თავის „როლს-როისს“; ამავე დროს ის მეტად მარდი და გამოცდილი ცხენოსანია. ის შედის ისეთ ადგილებშიაც კი, სადაც გზები ფაქტიურად არ არსებობს. წლის დასაწყისს (1927) ემირი

ორჯერ იყო ყანდაარში, ივნისსა და ივლისში ხანგრძლივად იმოგზაურა ჩრდილო ავღანისტანში და უკანასკნელ ხანს იყო ხოსტაში, გარდეზში და ინდო-ავღანის საზღვრებზე.

ხოსტაში მან პირადათ მოახდინა სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზია. დააჯილდოვა ბევრი ერთგული მოხელე და მკაცრად დასაჯა მრავალი ოფიცერი საქმისადმი გულგრილობისათვის. გარდეზში ემირმა დაატუსაღა ბევრი მეთაური, რომელნიც აქტივობას იჩენდნენ ამას წინეთ მომხდარ აჯანყებაში, ხოლო რამოდენიმე მათგანი მძიმედ დააჯარიმა. ალი-ხელში ემირს წარუდგა ლოიალური მოსახლეობის დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა ერთგულების სამაგიეროდ ისინი განთავისუფლებულიყვენ ჯარში გაწვევისა და იძულებითი სამხედრო სწავლისაგან. მაგრამ დელეგაციის ბეჯითმა შუამდგომლობამ არ გასჭრა, ემირმა გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება, იმ წუთშივე დასტოვა დელეგაცია და დაიქადნა, რომ თუ შემდეგში ასეთი შუამდგომლობით მისვლა ვინმემ კიდევ გაბედა,— სასტიკად იქნება დასჯილიო.

...ბრიტანეთი და ინდოეთი განმსჭვალული არიან ავღანისტანისადმი საუკეთესო გრძნობებით. მხოლოდ ერთად ერთი დამაფიქრებელი მომენტი ჩვენს დამოკიდებულებაში ისაა, რომ ავღანისტანი აძლევს რუსებს საშუალებას ასეთი დიდი გავლენა იქონიონ ავღანისტანის საჰაერო ფლოტის კონტროლის საქმეში, ვაჭრობაში, გზებისა და ტელეგრაფის მოწყობის საქმეში...

...რუსეთის გავლენა ავღანისტანში ააშფარავებს იმ სამწუხარო მტრობას ინგლი-

სისადმი, რომელიც ასე აშკარად მეღავნდება ქაბულის გაზეთის ფურცლებზე"... [1])

ამანულას ქება ინგლისელმა გაზეთმა დაამთავრა ჩვეულებრივი ტირადით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აშკარად გამოსთქვა ინგლისის ზრახვანი ამ მიმართულებით. რასაკვირველია, ინგლისს აწუხებს ამანულას მოგზაურობაც ავღანისტანის სხვა და სხვა პროვინციებში, მისი ენერგიული ტონიც და ისიც, რომ საბჭოთა კავშირი, ეს მართლა ნამდვილი მეგობარი ავღანისტანის დამოუკიდებლობისა, ამოდენა გავლენით სარგებლობს ქაბულში, ხოლო ინგლისის მიმართ ადგილობრივი გაზეთები ვერ ფარავენ თავის მტრობასა და სიძულვილს.

რომ უფრო ნათელი გახდეს ამანულას ბრძოლა შინაური რეფორმების ჩატარებისათვის და მისი ინგლისთან დამოკიდებულება და აგრეთვე ის ადგილობრივი პიროვნებები, რომელშიაც სწარმოებს დღევანდელი რეფორმების განხორციელება,—მოვიყვანთ აქ ნაწილს ამანულას სიტყვისა, რომლითაც მან მიმართა ხალხს ხოსტის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როცა ფადიშაჰი ქაბულში დაბრუნდა.

„თქვენ გაინტერესებთ ალბათ,—სთქვა ამანულამ,—თუ რისთვის დავბრუნდი მე ასე სწრაფად თურქესტანიდან და გავეშურე სამხრეთ პროვინციაში (ხოსტი). საქმე იმაშია, რომ ამ პროვინციაში მე შევამჩნიე რაღაც მოძრაობისდაგვარი, რომელიც შედეგად მოჰყვა ზოგიერთ პირთა პროპაგანდას. ეს პირნი მე ბრალსა მდებენ ისლამის კანონთა შერყვნასა და დარღვევაში. მე მსურდა ეს მოძრაობა დასაწყისშივე ჩამექრო და ამიტომ განვიზრახე სამხრეთს წასვლა მოსახლეობასთან პირადი მოლაპარაკებისათვის.

---

[1]) Бюллетени прессы 1928 г. № 1

მე დამხვდა სამხრეთი პროვინციის ტომთა 4.000 წარმომადგენელი. მათ კისერზე ჩალმები ჰქონდათ შემოხვეული და შემთხოვეს მე, რომ მეპატიებინა მათთვის დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს წარსულშიაც (1924) და ეხლაც და მიმეცა მათთვის საშუალება ამ დანაშაულის გამოსყიდვისა. ისინი ამბობდენ, რომ თუ კი მე მათ უბრძანებ, ისინი მზად არიან დაჰხოცონ თუნდაც საკუთარი შვილები, ოღონდ ჩემი გული არ იყვეს განრისხებული მათზე.

მე უპასუხე მათ:

„ასეთი მსხვერპლი თქვენგან მე არ მინდა. ინგლისელებთან საომრად თქვენი გაგზავნა არ მსურს, რადგან დღევანდელი დამოკიდებულება მათთან არ მოითხოვს ინგლისელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას. რუსებთან საომრად მე თქვენ ვერ გაგიშვებთ, რადგან ისინი ჩვენი მეგობრები არიან. მე შემიძლია მოვითხოვო თქვენგან მხოლოდ ის, რომ თქვენ შეასრულოთ ჩემი განკარგულებანი და მაშინ ჩემს გულში არავითარი უკმაყოფილება თქვენდამი არ დარჩება.

„ზოგიერთი ბოროტი ადამიანები,—ეუთხარი მათ მე,—თქვენ შორის ავრცელებენ ხმებს, თითქო მე ვეკუთნოდე „ყადიანი“-ს სექტას, რომ ჩემი განკარგულებით მე ვარღვევდე ისლამის კანონს და რომ მე სახელმწიფო დაღუპვისაკენ მიმყავდეს. განსაკუთრებით ძლიერი პროპაგანდა სწარმოებს ჩემი სკოლების წინააღმდეგ. თითქოს ამ სკოლებში სწავლა დაყენებულია არა შარიათის წესებზე, არამედ შარიათის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ თქვენ დარწმუნდეთ ამ ხმების სიცრუეში მე მოვიყვანე ქაბულიდან ოთხი მოწაფე ქალი და წინადადებას ვაძლევ აქ მყოფ მოლებს მისცენ მათ კითხვები ყორანისა და შა-

რიათის მიხედვით და დარწმუნდენ, თუ რას ასწავლიან ამ ბავშვებს".

ჩემი ამ სიტყვების შემდეგ ხალხში გაისმა ხმები: „მოლები, რომელნიც გვამსედრებდენ შენს წინააღმდეგ იყვენ ულირსნი და უგუნური ადამიანები. ისინი ყველანი გაიქცენ, რითაც ჩვენ მეტათ კმაყოფილი ვართ".

მაგრამ ის მოლები, რომლებიც აღმოჩნდენ წარმომადგენელთა შორის გამოვიდენ და მისცეს ჩემ მიერ მოყვანილ მოწაფე-ქალებს სხვა და სხვა კითხვები, რაზედაც მოწაფეებმა სავსებით სწორი პასუხი გასცეს. ხოლო ზოგიერთ კითხვებზე, რომელნიც მოლებს მისცეს მოწაფეებმა, მოლებმა პასუხი ვერ გასცეს.

მაშინ მე მივმართე დამსწრეთ და ვსთქვი, რომ ეხლა ისინი, ალბათ, დარწმუნდნენ რომ ჩემს სკოლებში, პირველად ყოვლისა, ასწავლიან ისლამის კანონების მიხედვით და რომ ზოგიერთ მოლებს არც კი შეუძლიათ შეედარონ ჩემს მოწაფეებს საღვთო-კანონების ცოდნაში.

დამსწრე წარმომადგენლები აღტაცებით მიეგებენ ამ სიტყვებს და განაცხადეს, რომ ეხლა ისინი საბოლოოდ დარწმუნდენ ჩემი სკოლების შესახებ გავრცელებული ხმების სიცრუეში.

მე განუცხადე მათ: „სკოლების დაარსებით მე მინდა აღმოვფხვრა თქვენს შორის უმეცრება. მე მსურს მივაღწიო იმას, რომ თვითონ თქვენ შესძლოთ გაარჩიოთ, თუ რაა კარგი და რა არის გლახა; რა არის სასარგებლო ქვეყნისათვის და რა არის მავნებელი. ეხლა მე მოვითხოვ თქვენგან, რომ გააგზავნოთ თქვენი შვილები სკოლებში. ამით თქვენ აგრეთვე გამოისყიდით იმ დანაშაულს, რომელიც მიგიძღვით ჩემს წინაშე".

ვაქილებმა (წარმომადგენლებმა) სრული თანხმობა განაცხადეს ბავშების სკოლაში გაგზავნაზე.

შემდეგ მათ შემომჩივლეს, რომ ადგილობრივი ტომები მეტად შეწუხებული არიან იმით, რომ ცოლები ხშირად სტოვებენ თავიანთ ქმრებს და გარბიან სხვებთან. ვაქილებმა მოხოვეს, რომ მიმეღო ზომები ამ სამწუხარო მოვლენის მოსასპობად და შემომეღო სასტიკი კანონები ასეთი შემთხვევისათვის. მაგალითად, დამეწესებინა გაქცეული ცოლისათვის სასჯელად თვალების დათხრა, ხოლო იმ კაცისათვის, ვინც გაქცეულ ქალს მიიღებდა,—სიკვდილით დასჯა. მაგრამ მე განვაცხადე, რომ არ ვფიქრობ ასეთი სასტიკი კანონების შემოღებას, ვინაიდან საჭიროა და შესაძლებელიცაა გამოინახოს სხვა საშუალება ცოლების გაქცევის წინააღმდეგ.

(აქ ამანულა მიაქცევს დამსწრეთა ყურადღებას საერთოდ ქალის აუტანელ მდგომარეობაზე ავღანისტანში. ეს მეტად საინტერესო ადგილია მის სიტყვაში).

„აი თუნდა, ავიღოთ მაგალითისათვის,—განაგრძობს ამანულა, –„ჩანდულე", ქაბულის ერთ-ერთი უბანი. იქ ქმრებს ისე ჰყავთ ცოლები დაჭერილი, როგორც მწყერები ტომარაში. რა გასაკვირია, რომ ასეთნაირ მდგომარეობაში მყოფი ცოლები პირველი შეეთხვევისთანავე გარბიან ამ ტომრიდან. აბა რა უნდა ჰქნან მათ? ამ ქალებს ეპყრობიან უარესად, ვინემ ცხოველს. არ აცმევენ, არ ახურავენ, ცუდათ აჭმევენ და ბევრს ამუშავებენ, სცემენ და ეზოდან გასვლის ნებას არ აძლევენ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ქალი პირუტყვი კი არაა, ადამიანია და მასაც აქვს თავისი უფლებები. მოეპყარით თქვენ ცოლებს კარგად, მიეცით მაო საშუალება, რომ ნახონ რამე, თქვენი ეზოს გარდა, და მე შემიძლია ვითავდებო, რომ ისინი თქვენ

არ გაგექცევიან. შემდეგ ამისა უნდა მოისპოს ისეთი წესი, როცა ქვრივი ქალი უსათუოდ უნდა წაჰყვეს თავის ქმარის ძმას. თუ ქალს მასზე გათხოვება არ უნდა და მაინც იძულებულს ჰხდიან მას წაჰყვეს—რასაკვირველია, ის გაიქცევა. ასეთი ადათი უნდა მოისპოს. ქვრივი უნდა წაჰყვეს მას, ვიზედაც სურს გათხოვება.

ვაქილები ამაშიაც დამეთანხმენ და პირობა მომცეს, რომ კარგად მოეპყრობიან ცოლებს და ქვრივ ქალებსაც ნებას მისცემენ თითონ ამოირჩიონ საქმროები.

შემდეგ მე ვსთქვი: „იმისათვის რომ თქვენ ცოლებს მიეცეს საშუალება ადამიანური ცხოვრებისა, საჭიროა, რომ არავის არ ჰყავდეს ერთ ცოლზე მეტი, თუ კი კაცს არ შეუძლიან მათი რჩენა. მას კი, ვისაც ასეთი შეძლება აქვს, შეუძლია იყოლიოს ერთ ცოლზე მეტი, მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის შემდეგ.

ამ ჩემს აზრსაც დაეთანხმენ ვაქილები.

რაიცა შეეხება ქალების მიერ პირისახის დაფარვას, —ვსთქვი მე,—შემიძლია გთხოვოთ თქვენ, რათა მოიქცეთ ისე, როგორც ამას გვიკარნახებს საღვთო კანონები. სასაცილოა თქვენი ქალების დანახვა მუშაობის დროს. ისინი იფარავენ სახეს თავზე წახურული ჩადრით და ამ ჩადრის ბოლო კბილით უჭირავთ. რისთვის გინდათ გარდააქციოთ ქალები ხორთუმიან სპილოებათ? რა საჭიროა ეს?

შემდეგ თქვენ სჩივით, რომ გიძნელდებათ საქორწინო ყალიმის გადახდა (რომელსაც ვაჟი აძლევს ქალის დედამამას). საქმე იმაშია, რომ სწორედ იმ დღეებში, როდესაც მე ტახტზე ავედი, განსაკუთრებული ბრძანებით ავკრძალე ამ ყალიმის გადახდა. მაგრამ თქვენ წინააღუდექით ჩემს კანონს. თქვენ მოითხოვეთ მისი გაუქმება და

მე გავაუქმე ეს კანონი. ეხლა კი თქვენ თხოულობთ, რომ მე ხელახლა შემოვიღო იგი. კეთილი. მე მოვიქცევი ისე, როგორც თქვენ მოითხოვთ და ამ კანონს შემოვიღებ.

ამ კრებაზე ვაქილებმა მომმართეს თხოვნით და ჩივილით, რომ ტომებთა მეთაურები და მოსამართლენი ახდევინებენ ხალხს ჯარიმას ფულად და ნატურითაც ყოველგვარ დანაშაულის გამო. ამავე დროს სხვადასხვა დროს ჩადენილ ერთნაირ ხასიათის დანაშაულზე არსებობს სხვადასხვა ჯარიმა. მაგალითად, იმისათვის, რომ ადამიანი მიდის არა ქუჩის მარცხნივ, არამედ მარჯვნივ—ერთგან ახდევინებენ ერთ „რუპიას", მეორე ადგილას კი ორს, ან ხუთს, ამას გარდა ხალხს სჯიან მეთაურებიც, მსაჯულებიც და ყველა, ვისაც რაიმე უფლება აქვს. ვაქილებმა მთხოვეს, რომ დამეწესებინა რაიმე კანონები, რომელიც განმარტავდა, თუ რა დანაშაულებისათვის რა სასჯელია დაწესებული. ამავე დროს ისიც მთხოვეს, რომ მსაჯულები ყოფილიყვენ მთავრობისგან დანიშნულნი, ვინაიდან ეხლანდელი მსაჯულები (ყაზი) სჯიან უსამართლოდ ნაცნობებისა, თუ ქრთამის მიხედვით.

ამ განცხადებაზე მე ვუპასუხე, რომ ასეთი კანონი მე უკვე მქონდა გამოცემული კაი ხნის წინეთ, მაგრამ მაშინ ამ კანონის საპასუხოდ თქვენ მომიწყვეთ ხოსტის აჯანყება. მე მაშინაც დაგეთანხმეთ თქვენ და ის კანონი გავაუქმე, ვინაიდან ეს იყო თქვენი მოთხოვნილება. ახლა კი თქვენ ამბობთ, რომ მე ეს კანონი აღვადგინო. კარგი და პატიოსანი. მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ შეიგენით თქვენი შეცდომა. კანონი დანაშაულებათა შესახებ ისევ შემოღებული იქნება. აგრეთვე დაწესდება მთავრობის სასამართლოც.

მე მოვსთხოვე ხალხს მიეცა ჯარისკაცები, ვინაიდან ეს გამოწვეულია რეგულიარული ჯარის საჭიროებით.

რაიცა შეეხება გზატკეცილების გაყვანას, ვაქილებმა განმიცხადეს, რომ ხალხს ძლიერ უჭირს ეს საქმე, რომ გზების გაყვანა მეტად ავიწროებს მოსახლეობას.

მე ხაზი გაუსვი იმ გარემოებას, რომ გზებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო თვალსაზრისით. ვინიცობაა, ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესიოს, ჩვენ შეგვიძლია სწრაფად მივაგებოთ საზღვარზე მტერს საკუთარი ჯარი და არ მივსცეთ საშუალება, რომ შემოიჭრას ჩვენს ტერიტორიაზე და დაგვამარცხოს ჩვენ. მაგრამ; განუცხადე მათ,—მე შევაჩერებ გზატკეცილების გაყვანას, თქვენც მოგხსნით ამ მძიმე ბეგარას. მე ამის საწინააღმდეგო არა მაქვს, მხოლოდ ეხლავე უნდა გითხრათ, რომ თუ უგზოობის მიზეზით ჩვენ ომის დროს მტერმა დაგვამარცხა, მე თქვენ გადაგახდევინებთ კონტრიბუციას. მანამდე კი მე გავაჩერებ გზების გაყვანას.

ვაქილები დამპირდენ, რომ ისინი გაიყვანენ გზებს და ჯარსაც მომცემენ.

„ამ საუბრის შემდეგ,—დასძენს ავღანელი გაზეთის კორესპონდენტი,—ფადიშაჰმა უჩვენა ხალხს ავღანისტანის გეოგრაფიული ქარტა. ემირმა შემოავლო თითი ავღანისტანის საზღვრებს და როდესაც მივიდა შავ ხაზამდე, რომელიც ჰყოფს ავღანისტანს და ინდოეთს, მან სთქვა:

„ა ი ეს შ ა ვ ი ხ ა ზ ი ა რ ი ს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ი ჩ ვ ე ნ ს ა დ ა ი ნ დ ო ე თ ს შ ო რ ი ს. ე ს შ ა ვ ი ხ ა ზ ი შ ა ვ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ვ ი თ ა ა გ ა ტ ა რ ებ ულ ი ჩ ე მ ს გ ულ შ ი: ბ ე ვ რ ი პ ა პ ე ბ ი ფ ლ ობ დ ე ნ, უ ბ ე დ ურ შ ე მ თ ხ ვ ე ულ ებ ა თ ა გ ა მ ო ჩ ა მ ო გ ვ ა შ ო რ ე ს ჩ ვ ე ნ. დ ა დ ღ ე ს ი ს ი ნ ი ი მ ყ ო ფ ებ ი ა ნ ა მ ი ხ ა ზ ი ს გ ა დ ა ლ მ ა. მ ა გ რ ა მ დ ა დ გ ებ ა დ რ ო დ ა რ ო დ ე ს მ ე ი ს ი ნ ი ი ს ე ვ ჩ ვ ე ნ ი ი ქ ნ ებ ი ა ნ (ს ა ე რ თ ო კ მ ა ყ ო ფ ი ლ ებ ა). ა ი, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ა დ გ ი ლ ი ყ უ რ რ ა მ, რ ო-

ძელიც ჩვენ გვეკუთნოდა, დღეს აღარაა ჩვენი. ამ ადგილებიდან შემოგვესია ჩვენ ინგლისელი ენერალი რობერტსი და ოთხჯერ დასვენების შემდეგ შემოვიდა ქაბულში... ამიტომ ისინი, ვინც ამ ადგილების ახლო ცხოვრობს, განსაკუთრებით უნდა ადევნებდეს თვალყურს ყველაფერს, რაც ხდება მათ ახლომახლო და ყოველ წუთში მზად იყვნენ თავდაცვისათვის მოსალოდნელი მტრისაგან. ეს უნდა ახსოვდეს სხვებსაც მთელი საზღვარის მანძილზე". [1])

ეს ამონაწერი ცხად ჰყოფს, თუ რა კულტურულ დონეზეა დღევანდელი ავღანისტანი, როგორის ტაქტიკითა და საშუალებით სცდილობს ამანულა-ხანი ავღანისტანის კულტურულ ქვეყნად გარდაქცევას და რა დაბრკოლებანი ელობება მას წინ. აგრეთვე ჩვენ ვხედავთ, თუ სადაა ის საფრთხე, რომელიც ემუქრება ავღანისტანს და ამანულას ყოველგვარ პროგრესიულ ნაბიჯს. თვით ამანულა-ხანი კარგად ხედავს, რომ ეს საფრთხე მას მოელის ინდოეთის საზღვრებიდან. ის ვერ ფარავს ამას და აფრთხილებს მოსაზღვრე ტომებს, რომ საფრთხე იქმნება სწორედ იმ შავ ხაზზე, რომელიც ჰყოფს ინდოეთსა და ავღანისტანს.

ავღანისტანის პროგრესიული ელემენტები და თვით ამანულა-ხანი, შეიძლება ითქვას, განმსჭვალული არიან ერთგვარ რომანტიულ გრძნობით თავის ქვეყნისა და ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებისადმი. ისინი ხედავენ, რომ მათ დამოუკიდებლობას მოელის საფრთხე, რომ მტერი ისევ ექადის მათ დამონებას და განადგურებას.

---

[1]) Бюллетени прессы № 1. 1928.

ამანულა სცდილობს, გააღვივოს ხალხში ეროვნული გრძნობა და ინგლისური საფრთხე არ ავიწყდება მას არც ერთ თავის გამოსვლაში.

საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც საუკეთესო დამახასიათებელია ამანულას განწყობილებისა ამ მხრივ. ესაა მის მიერ წარმოთქმული სიტყვა დამოუკიდებლობის დღესასწაულის დღეს (21 თებერვალი). მოგვყავს ეს სიტყვა ავღანური გაზეთის „ამან-ი-ავღან"-ის გადმოცემით. (სიტყვა შემოკლებულია)

„...შემდეგ ამისა უნდა განვაცხადო, რომ ყოველგვარი შექება ჩემი მოღვაწეობისა და შრომის, და ძლიერება, რომელსაც მე ასე სულგრძელად მაწერთ, სინამდვილეში წარმოადგენს მხოლოდ თქვენი ერთგულებისა და საქმისადმი სიყვარულის შედეგს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მე ვიქნებოდი შეურაცყოფილი ჩემს საუკეთესო გრძნობებში. აბა, როგორ შევსძლებდი მე, სუსტი ადამიანი, რომელიც სადღაც კუთხეში ფიქრობს თქვენს წინსვლაზე, როგორ შევსძლებდი მე, აღმემაღლებინა ერი ჩემი და გამომეგლიჯა მისი დამოუკიდებლობა იმათი ხელიდან,[1]) რომელნიც გველეშაპის კბილებით ჩასჭიდებოდენ მას.

მომაშორეთ ყოველგვარი ტიტული, რომლითაც მაჯილდოვებთ მე. ნუ დაშიქახებთ „წინამძღოლს", არამედ ჩამთვალეთ უბრალო ჯარისკაცად ჩემი ხალხის მოსამსახურეთ. მე არ შემიძლია ვიყო წინამძღოლი, მე მხოლოდ გულწრფელი, თქვენი ერთგული მსახური ვარ. როგორც დღემდე არ დამიზოგავს თავი თქვენი სამსახურისათვის, არც, აწი,—მე იმედი მაქვს,—არც აწი დავკარგავ თუნდაც ერთ წუთსაც თქვენი პროგრესისა და თქვენი პატიოსნე-

[1]) ინგლისელების.

ბის, თქვენი სახელისა და თქვენი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

...ადამიანები, აღვსილი ჩვენდამი შურითა და მტრობით[1]) და გაბრაზებული იმით, რომ ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, უკვე ველარ შესძლებენ თავისი მოღალატური ხელით მახვილი ჩასცენ ჩვენს დამოუკიდებლობას, თუ თქვენ დაეწაფებით განათლებას და შეგნებულ ხალხად გადაიქცევით.

...მე არ შემიძლიან ვსთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ და რა განზრახვისაც გულით ვატარებ, მაგრამ გეტყვით, რომ მე ყველაფერი მიმაქვს ჩემი ქვეყნის სამსხვერპლოზე—ჩემი თავიც, ჩემი შვილებიც, ჩემი სიცოცხლეც და სულიც“ [1]).

ამანულა შემდეგ ისევ ეხება ქალთა საკითხს. იგი მიმართავს ქალებს ერცელი სიტყვით და, სხვათა შორის, ამბობს:

„თქვენა ხართ სიამაყე ჩვენი ქვეყნისა. თქვენ ზრდით შვილებს სამშობლოსათვის და სიტყვა „დედა“, რომელიც ითქმის თქვენს მიმართ, არის იმდენად წმინდა და სასიქადულო, რომ ამ სიტყვით ჩვენ ვიხსენიებთ სამშობლოს. როგორც მე ვემსახურებოდი და ვემსახურები ავღანელ მამებს, აგრეთვე გემსახურებოდით თქვენ და ვსცდილობდი მე თქვენთვისაც“.

თუ ყურადღებით შევისწავლით ყველაფერს, რაც ხდებოდა ავღანისტანში ინგლისელების განდევნის დღიდან 1928 წლის ამბოხებამდე და განსაკუთრებით აღვნუ

[1]) Бюллетени прессы № 1. 1928.

სხავთ ახალი რეფორმების სისტემას, ჩვენ დავინახავთ, რომ ავღანისტანის პოლიტიკურ რეფორმაციას არ ჰქონდა მტკიცე სოციალური საფუძველი, რომ ავღანისტანში ახალი რეფორმებით ვერ იყო დაინტერესებული ფართო სოციალური ფენები (გლეხობა), რომელსაც შეეძლო ამ რეფორმების დაცვა და განმტკიცება. ავღანისტანის ფადიშაჰი აკეთებდა საქმეს პროგრესიული ბურჟუაზიისას და მისმა რეფორმებმა გლეხობას გვერდი აუარა. ბურჟუაზია კი იმდენათ სუსტი, იმდენად მცირერიცხოვანი და უძლური გამოდგა, რომ რეაქციასაც ის დაუპირდაპირდა მოწინააღმდეგე ბანაკს—კლერიკალურ ფეოდალურ რეაქციას, ამასთანავე ინგლისის მიერ ზურგ გამაგრებულს იარაღითა და ფულით,—მან ვერ გაუძლო ამ ბრძოლას, მით უმეტეს, რომ გლეხობა აყვა პროგრესიულ ელემენტების მტრებს და წამოეგო მათ მიერ მოხერხებულად მოწყობილ პროვოკაციას.

ეს კარგად ჰქონდა გამოანგარიშებული ინგლისს, როცა ორხელ გახადა ავღანისტანი მასიური აჯანყების ასპარეზად.

მაგრამ სანამ ეხლანდელ აჯანყების გაშუქებას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შეეჩერდეთ იმ ინტერესზე, რომელიც გამოიჩინა ევროპამ ავღანისტანის მიმართ, ეს განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა ამანულას მოგზაურობის დროს ევროპაში. ამ მოგზაურობის ზოგიერთი ეტაპები მეტად დამახასიათებელია ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ინგლისის დამოკიდებულება ამანულა-ხანის მოგზაურობასთან, რამდენადაც ინგლისი სთვლიდა ავღანისტანს პირთან მიტანილ ლუკმად.

საფრთხე, რომელიც მოელოდა ავღანისტანის დამოუკიდებლობას ინგლისის მხრივ ისე აშკარა იყო, რომ ამანულა-ხანი იძულებული შეიქმნა ხმამაღლა ელაპარაკა ამის შესახებ.

ევროპაში მოგზაურობა იყო ერთ-ერთი საშუალება თაგანი ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამანულა ფიქრობდა გაეხმაურებინა ევროპაში ავღანისტანის დამოუკიდებლობა და ერთგვარი რეკლამა გაეკეთებინა თავის ქვეყნისათვის იმ მიზნით, რომ თუ ვინიცობაა ინგლისი მას დაესხმოდა, ქვეყანას უნდა სცოდნოდა, თუ რა იყო ავღანისტანი, სად იყო, რა პირობებში სცხოვრობდა და საით მიყავდა ეს ქვეყანა მის დღევანდელ ხელმძღვანელს. ინგლისელი გაზეთების კორესპოდენტების მრავალ შეკითხვებზე, თუ რისთვის მიემგზავრება ამანულა ევროპაში, ის უპასუხებდა, რომ „მივდიკარ, რათა გავიგო ევროპის ავი და კარგი, კარგი წამოვიღო ჩემი ქვეყნისათვის და ამავე დროს ვაჩვენო ევროპას, რომ მსოფლიო ქარტაზე ავღანისტანსაც უკავია თავისი საკუთარი ადგილი“.

„ამ მოგზაურობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელი შუა აზიისათვის,—სწერდა გაზეთი „ჰაბლ-ულ-მატინი“. პოლიტიკური მნიშვნელობა ამ მოგზაურობისა მდგომარეობს იმაში, რომ ამანულა მიემგზავრება ინდოეთში, ინგლისში და რუსეთში. ყოველ შემთხვევაში ავღანისტანის პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო დიდია, ვინემ აქამდე ეგონათ, რადგან ბალანსი მომავალი ომისა, რომელიც მოხდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეზე

ღადგება ავღანისტანი. ამ აუცილებელი ომის მთავარი მონაწილენი იქნებიან რუსეთი და ინგლისი და მხოლოდ ავღანისტანი სძევს მათ შორისო. ამის გამო, დასძენს გაზეთი, რუსეთი და ინგლისი შეეცდებიან მოახდინონ ავღანისტანზე პოლიტიკური, ეკონომიური და გეოგრაფიული ზედგავლენაცო".

სპარსული გაზეთები აღნიშნავდენ, რომ „აღმოსავლეთის ერებმა უნდა იფიქრონ თავიანთ მომავალზე და გარკვევით აცნობონ დასავლეთის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით თავის მეზობლებს, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკური ცხოვრება და კერძოდ შუა-გულ აღმოსავლეთის—მჭიდროთაა დაკავშირებული სპარსეთ-ოსმალეთ-ავღანისტანის მეგობრობაზეო".

ამანულა-ხანის ევროპაში მოგზაურობა იძლევა აუარებელ ფაქტებს იმ ყოვლად საძაგელი და უსინიდისო პოლიტიკისა, რომელსაც ინგლისი აწარმოებს ავღანისტანის წინააღმდეგ და, რომლის ერთი ეპიზოდი ეხლა-ხან იშლება ჩვენს წინაშე.

1927 წლის დეკემბერში ამანულა და მისი თანამგზავრები (რიცხვით 20 კაცი) მოადგენ ინდოეთის საზღვარს. საზღვარზე მათ დახვდათ ოქროთი მოვარაყებული თაღი ინგლისური და ავღანური დროშებით შემკული, ზარბაზნის სროლა, ინგლისის საჰაერო ფლოტის მრავალ რიცხოვანი ესკადრილია, ინგლისელი ,ჯარების ათი ბატალიონი ღენერალ გარრინგტონის მეთაურობით და მისი შტაბი. საზღვარზევე მიაგებეს ამანულა-ხანს ინგლისის მეფის, გეორგის წერილი:

„ბრიტანეთის მეფისაგან მის უდიდებულესობას მეფე ამანულას.

ჩემისა და ჩემი ხალხის სახელით მე მხურვალედ მიესალმები თქვენს მობრძანებას ჩემს სამფლობელოში და

გისურვებთ კეთილ მგზავრობას. მე სიამოვნებით მოველი თქვენთან შეხვედრას ჩემს სატახტო ქალაქში და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს იქ მობრძანებას მოყვება საუკეთესო შედეგები ჩვენი ქვეყნების მომავალ დამოკიდებულების საქმეში. გეორგი, მეფე-იმპერატორი" [1]).

ამგვარივე შინაარსის მიმართვა გადაეცა ამანულას ინდოეთის ვიცე-კოროლის ლორდ ირვინისაგან.

დიდის კომფორტით, ზეიმით და ჯარების დემონსტრაციით მოაცილეს ამანულა ყარაჩამდე, სადაც განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეხვდა მას მთელი მოსახლეობა და კერძოდ მაჰმადიანები. დემონსტრაციის დროს ამანულამ მიმართა ხალხს სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა სურვილი, რომ საჭიროა მოისპოს უთანხმოება ინდოელებსა და მაჰმადიანთა შორის.

15 დეკემბერს ამანულა ჩავიდა ბომბეიში და მისი იქ ჩასვლა გარდაიქცა არაჩვეულებრივ გრანდიოზულ დემონსტრაციათ. მთელი ქალაქი მიეგება მას და ყოველ მოქალაქეს ხელში ეჭირა ავღანისტანის ჰატარა დროშა, რომელიც ამ შემთხვევისათვის გამოუშვა ხალიფატის კომიტეტმა.

„გემიდან გადმოსვლისას, სწერდა „ბომბეი ქრონიკლ", როცა ამანულა ხალხმა დაინახა, ენტუზიაზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ხალხის ოკეანე შეტორტმანდა, შეინძრა, ყველას უნდოდა ფადიშაჰის დანახვა... ქუჩები, სადაც გაიარა პროცესიამ, ავსებული იყო ხალხით. სახლის სახურავები, ბალკონები, ტრამვაები, ხეებიც კი ვეღარ იტევდა მაყურებელს. ოთხი მილის მანძილზე არ იყო ერთი მისხალი თავისუფალი ადგილი. დაახლოვებით 500.000 ქალი და კაცი სხვადასხვა რასისა და ეროვნების

[1]) Бюллетени прессы № 1.

შეხვდა ავღანისტანის ფადიშაჰს და ყოველ ნაბიჯზე მას უმართავდენ ოვაციებს".

თუ რას ნიშნავდა ეს ოვაციები და ხალხის ასეთი შეხვედრა, ამის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ერთი კვირის შემდეგ „ინდუსტან-ტაიმსიდან".

„ინდოეთის ეროვნულ კონგრესის მეორე სხდომაზე, —სწერდა ეს გაზეთი,—ჯავხარ-ლალ-ნერუმ შეიტანა რეზოლიუცია, იმის შესახებ, რომ ინდოეთი არ მიიღებს არავითარ მონაწილეობას იმ ომში, რომელსაც დაიწყებს ინგლისი. როდესაც მისტერ ნერუს ეს რეზოლიუცია შემოჰქონდა, მან განაცხადა, რომ ევროპა ამ ჟამად გარდაქცეულია თოფის წამლის საწყობად და, რომ იქ ატმოსფერა უფრო ძლიერაა გაჟღენთილი ომის სუნით, ვიდრე ეს იყო 1914 წელსო. ნერუ ასაბუთებდა თავის სიტყვას იმითაც რომ ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე (ავღანისტანი) ინგლისი კონცეტრაციას უშვება დიდძალ საჰაერო ფლოტს, რომ აღმოსავლეთ საზღვრებში ბრიტანეთი აწარმოებს ძლიერ საბხედრო სამზადისს, რომ უკვე გამოცხადებულია სამხედრო მინისტრის ცირკულიარი, რათა სამოქალაქო უწყების მოსამსახურენი მზად იყვენ სამხედრო სამსახურისათვის და სხვა. ყოველივე ეს,—განაცხადა ნერუმ მიზნათ ისახავს ყოველგვარი თავისუფლების ჩაკვლას.

ნერუმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ უდიდესი ენტუზიაზმი და აღფრთოვანება, რომლითაც ინდოეთის ხალხი შეხვდა ავღანისტანის ფადიშაჰს მეტად მჭიდროთაა დაკავშირებული ომის საკითხთან. ომი, რომელსაც ამზადებს ინგლისი, პირველად ყოვ-

ლისა, გასტეხს ავღანისტანს. ამიტომ ინდოეთის საზოგადოებრივობის მიერ ასეთი მხურვალე სიმპატიები ამანულასადმი იმის მაჩვენებელი იყო, რომ მთელი ინდოეთის თანაგრძნობა ომის დროს იქნება არა ინგლისის, არამედ ავღანისტანის მხარეზე.

ბომბეიში, ისე როგორც ყველგან, ინგლისური ხელისუფლება ცდილობდა გაებრუებია ამანულა-ხანი ინგლისის ძლიერებით. ამასთანავე არ აკლებდენ პატივისცემასაც. ბომბეიში ვიცე-კოროლმა გამართა დიდი ბანკეტი ამანულას პატივსაცემად.

საინტერესოა, თუ როგორ ეპირა თავი ამანულას ინდოეთში ინგლისელი ხელისუფლების წინაშე.

„როცა ამანულამ გაიგო, რომ ინდოეთის ვიცე-კოროლი ამ ბანკეტზე არ იქნებოდა,—სწერს გაზეთი „ჰაბლულ-მატინ",—მან უარი განაცხადა იქ მისვლაზე, მაგრამ ბოლოს ავღანისტანის კონსულმა როგორც იქნა ის დაითანხმა. ამანულა წავიდა ბანკეტზე ერთი საათის დაგვიანებით, როგორც კერძო მოქალაქე. ამავე დროს მან მოითხოვა, რომ სუფრაზე ის დაჯდება მხოლოდ იმ პირობით, თუ ბომბეის ღუბერნატორის ადგილი იქნება ერთ-ერთ ავღანელი პრინცის ქვევით".

ამანულას საპატიო მიზეზები ჰქონდა ეფიქრა, რომ ვიცე-კოროლი ირვინი დიპლომატიურად გახდა ავად. ამიტომ მან არ იკმარა ბანკეტზე მოხდენილი დემონსტრაცია და მეორე დღეს გააუქმა მისთვის შემუშავებული მთელი ცერემონიალი, არც ერთში მონაწილეობა არ მიიღო, გადაიცვა უბრალო ტანსაცმელი და საიდუმლოდ გაემგზავრა ქალაქის მუსულმანურ ნაწილში, სადაც ესაუბრებოდა უბრალო ხალხს.

ფადიშაჰი დაბრუნდა ავღანელ საელჩოში მხოლოდ ნაშუადღევის სამ საათზე, სადაც მიიღო მრავალი დეპუტაცია და ხანგრძლივად ესაუბრა მათ. ამის შემდეგ მისთვის გამართულ სახალხო სეირნობაზე მას შემოეხვია აუარებელი ხალხი და „ტაიმსის“ ცნობით, აქვე წარუდგა ფადიშაჰს დეპუტაცია დაბალი კასტების (რომელთანაც მიკარება არ შეიძლება—неприкасаемые).- ფადიშაჰმა გამოიჩინა მათდამი განსაკუთრებული ყურადღება და გულითადათ ჩამოართვა თვითეულ მათგანს ხელი. „ამან, სწერდა, „ტაიმსი“ მოახდინა მაყურებლებზე უდიდესი შთაბეჭდილება“.

ბომბეიშივე „ინდოეთის ცნობილმა ლიდერებმა“, ხალიფათის კომიტეტმა და სხვ. მოაწყვეს უდიდეს მოედანზე მიტინგი, სადაც თავი მოიყარა 300.000 მოქალაქემ. „თვითეული პარტია და საზოგადოება მიმართავდა ამანულას სიტყვით“. ყოველი მათგანი უცხადებდა ამანულას თავის სიმპატიებს და თანაგრძნობას ავღანისტანის ხალხს.

ამანულა ხანი ინდოეთში ლაპარაკობდა მხოლოდ სპარსულად და ყოველი მისი გამოსვლიდან სჩანდა, რომ ის ელაპარაკებოდა არა მთავრობას, არამედ ინგლისის მიერ დაჩაგრულ ხალხს, რომელშიაც ის ხედავდა თავის ნამდვილ მეგობარს. მისი გამოსვლები ინდოეთში ატარებენ აგრეთვე ერთგვარ პანისლამისტურ ხასიათსაც.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი დამახასიათებელი ადგილი ზემოხსენებულ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვისა:

მან განაცხადა, რომ მას სურს „მის მოგზაურობას ევროპაში მოყვეს მშვიდობა ავღანისტანისა და მისი აყვავება და რომ ამ მოგზაურობამ ის გახადოს უფრო

ერთგული მოსამსახურე თავისი ხალხის და სახელმწიფოსი". და შემდეგ— „ჩემ სახელმწიფოში ინდუსები და ავღანელები მშვიდობიანად სცხოვრობენ ერთად. იქ ორივე ხალხი სარგებლობს ერთნაირი უფლებით და სცხოვრობენ როგორც ძმები. ავღანისტანში არ აქცევენ ყურადღებას კასტებისა და რელიგიის სხვადასხვაობას და ყოველი ინდუსი არის ჩემს ქვეყანაში ნანატრი სტუმარი"...

ინდოეთიდან ფადიშაჰი ჩავიდა ეგვიპტეში. გზაში „დეილი-მეილის" კორესპონდენტმა სთხოვა მას, გაეკეთებინა რაიმე განცხადება ინგლისისადმი მისი კეთილგანწყობილების მაჩვენებელი. ამანულაჰ ამაზე უარით უპასუხა. მაშინ კორესპონდენტმა სთხოვა მას ეთქვა, რომ „ავღანისტანი არის ინგლისის მეგობარი სახელმწიფო".

— „დავიცადოთ,—უპასუხა ფადიშაჰმა,—და ვნახოთ როგორი შედეგი მოყვება ჩემს ლაპარაკს თქვენს გარეშე საქმეთა მინისტრთან, როცა მე ლონდონში ჩავალ".

ქაირში (ეგვიპტე) მას შეხვდა მეფე ფუადი, შემდეგ მიიღო სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლები და ყველაზე ბოლოს—ინგლისის კომისარი ეგვიპტეში.

ეგვიპტის მთავრობას ამანულამ აჩუქა ძველი იარაღის კომპლექტი და დასძინა, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოებლად იარაღი საუკეთესო საშუალებაა.[1])

ხალხი ეგვიპტეშიც დიდი სიმპატიებით შეხვდა ამანულას და ადგილობრივი გაზეთები ამას ხსნიდენ

---

[1]) „Реакционное восстание в Афганистане". 1928 г. Ташкент. вып. 1.

„საერთო რელიგიით და ამ ორი ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემების ერთნაირობით“.

იტალიაში მოგზაურობა, გარდა ჩვეულებრივი ზეიმისა აღინიშნა იმით, რომ იქ ამანულამ შეიძინა სამხედრო იარაღი და აგრეთვე მითაც, რომ როცა იტალიის მეფემ მას მიმართა სიტყვით და უთხრა, რომ ის განსაკუთრებით მოხარულია ამანულას მოსვლით იმ ქვეყანაში, რომელმაც პირველად იცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა,—ამანულამ მადლობა გადაუხადა და შეუსწორა: მას არ ავიწყდება, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ავღანისტანის დამოუკიდებლობა პირველად იტალიამ იცნოვო. (ყველაზე ადრე იცნო რ. ს. ფ. ს. რ.-მ).

ერთი დღე ფადიშაჰმა დაჰყო ჟენევაში, ერთა-ლიგის სატახტო ქალაქში და გამოიწვია ლიგის წრეებში დიდი უკმაყოფილება, რადგან მთელი დღის განმავლობაში არც თვითონ ინახულა ლიგის წარმომადგენლები და არც მოისურვა, რომ ერთა-ლიგის რწმუნებულს ენახა ის.

ინგლისში ფადიშაჰი მიაცილა ინგლისის სამხედრო ფლოტმა და საჰაერო ესკადრილიამ. დუვრში მას დახვდა უელსის პრინცი, ხოლო ლონდონის სადგურზე—ინგლისის მეფე გეორგ V, დედოფალი, პრინცები, პრემიერ-მინისტრი, ჩემბერლენი, ბირკენხედი, ჯოინსონ ხიქსი და საერთოდ მთელი წარჩინებული ლონდონი, სულ 400 კაცამდე.

სპეციალურ ბანკეტზე ინგლისის მეფემ მიმართა ამანულას სიტყვით და სთქვა, რომ „მე ინტერესით და თანაგრძნობით ვადევნებ თვალ-ყურს ავღანისტანის პროგრესსა და თქვენს მეფობას. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ დაგცალდებათ თქვენი ქვეყნის სა-

სარგებლოდ განგრძობა თქვენი ღვაწლისა. მე იმედი მაქვს, რომ შემდეგში ჩვენი ქვეყნები შესძლებენ ერთად სვლას თავიანთი ინტერესების მშვიდობიან განვითარებისაკენ".

გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" გადმოგვცემს, რომ ამ სიტყვებზე ფადიშაჰმა უპასუხა შემდეგი: „თქვენი სიტყვები მარწმუნებენ, რომ თქვენი პირადი გულკეთილი განწყობილება ჩემდამი გარდაიქცევა მართლა კეთილ განწყობილების დამყარების ფაქტორად თქვენისა და ჩემი მთავრობის შორის"...

ინგლისში ყოფნის დროს ამანულა-ხანს უჩვენეს მთელი თავისი ძლიერება ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში. აჩვენეს ყველაფერი, რასაც თავზარი უნდა დაეცა ბარბაროსი მეფისათვის. „მე ჩემ სიცოცხლეში არაფერი მინახავს ასეთი გასაოცარი და საშინელი",—განაცხადა ფადიშაჰმა ინგლისური მანევრების შემდეგ. მას უჩვენეს აგრეთვე ზღვის ომი ლამანშში, ორმოცი საზღვაო ერთეულის მონაწილეობით.

ინგლისური გაზეთები აღარ მალავდენ, რომ „ამანულას ლონდონში ჩასვლა არ ჰგავს აღმოსავლეთის ჩვეულებრივ მმართველთა ვიზიტს და ამიტომაა, რომ მთავრობას სურს მოახდინოს მასზე შთაბეჭდილება დასავლეთის ცივილიზაციის ყოველგვარი განმანადგურებელი სამხედრო საშუალებებითო".

ამავე დროს ამანულასთან აწარმოებენ დიპლომატიურ მოლაპარაკებას, რომელიც, როგორც ეს დაგვანახვა ავღანისტანის ამბებმა, უშედეგოდ გათავდა და ამანულამ მიუხედავად მრავალგვარ დემონსტრაციისა, თავის გარკვეულ პოლიტიკურ ხაზს არ გადაუხვია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამანულას მოგზაურობა ოსმალეთსა და სპარსეთში. ამ მოგზაურობის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ამ სამი სახელმწიფოს—ავღანისტანის, სპარსეთის და ოსმალეთის მეგობრობა. ოსმალეთში ამანულამ, გარდა იმისა, რომ დადებულ იქმნა ხელშეკრულება სამხედრო ხასიათისაც, ხანგრძლივი მოლაპარაკება იქონია მუსტაფა-ქემალთან საერთო თანამშრომლობის შესახებ.

ეს თანამშრომლობა ახალ ოსმალეთთან დაიწყო კიდევ 1919 წლიდან. თითქმის ყველა საავადმყოფოებში მოწვეულ იყო ოსმალო ექიმები, 1919 წელში ოსმალეთის იმპერიის ყოფილი საზღვაო მინისტრი ჯ ე მ ა ლ - ფ ა შ ა შედიოდა ავღანისტანის „დამოუკიდებლობის საბჭოში", როცა სწარმოებდა ომი ინგლისთან. ამ ომში მონაწილეობას ღებულობდა ბევრი ოსმალო ოფიცერი. ამ ჟამადაც ავღანისტანის სამხედრო სკოლას მეთაურობს თურქი ოფიცერი. ავღანისტანის სახალხო ბანკის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქმნა ჯემალ-ფაშას შვილი ჯ ე მ ა ლ-ბ ე ი და სხვ.

ქემალთან მოლაპარაკებით და ახლად დადებულ ხელშეკრულების ძალით ამ ორი სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას ეიეცა ერთგვარი სისტემა.

გაზეთი „ტაბ"-ი სწერდა ამის გამო: „ოსმალეთი გაუგზავნის ავღანისტანს ტეხნიკოსებს, მსწავლულებს, პროფესორებს, ინჟინრებს, სამხედრო ინსტრუქტორებს. ამ რიგად, თურქები ითამაშებენ ავღანისტანში იმავე როლს, რასაც ევროპიელი სპეციალისტები თამაშობდენ ოსმალეთში".

ინგლისელი გაზეთი „მანჩესტერ-გარდიენ"-ი სწერდა, რომ „ოსმალეთის მთავრობა ენერგიულად შეუდგა ავღან-ოსმალეთის პაკტის განხორციელებას. მოკლე ხანში ოსმა-

ლეთის სამხედრო მისია გაემგზავრება ქაბულს. მისიის მეთაურია ქიაზიმ-ფაშა, ოსმალეთის ჯარების ღენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. მას თან მიყვება ოთხი პოლკოვნიკი და იგზავნებიან აგრეთვე სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები. ქიაზიმ-ფაშა ქაბულში დაინიშნება ავღანისტანის ჯარის ღენერალური შტაბის უფროსად და ფადიშაჰის სამხედრო მრჩეველად. მისიის დანარჩენი წევრები დაიჭერენ სხვა და სხვა ადმინისტრატიულ საპასუხისმგებლო ადგილებს ავღანისტანის ჯარში".

ოსმალეთის საზოგადოებრივობა დიდის აღტაცებით შეხვდა ავღანისტანთან დადებულ პირობას. დადიოდა ხმები, რომ მუსტაფა-ქემალი ცოლად ირთავს ამანულა ხანის დას. და ინგლისური გაზეთები აკეთებდენ დასკვნას, რომ ეს კავშირი უფრო დაახლოვებს ამ ორ სახელმწიფოს.

სპარსეთთანაც იქმნა დადებული ისეთივე ხელშეკრულება, როგორიც ოსმალეთთან. მთელი სპარსული პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ სამი სახელმწიფოს კავშირს (სპარსეთი-ოსმალეთი-ავღანისტანი) აქვს უდიდესი მნიშვნელობა სამუსლიმანო ქვეყნებისათვის მთელს მსოფლიოში. ამასვე აცხადებდენ სპარსეთის პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწენი, ხოლო ამანულა-ხანმა კი ერთ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ „ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, რომ სპარსეთს დაუდგეს მძიმე დღეები, მე ავიღებ თოფს და ვიბრძოლებ სპარსეთის მტერთა წინააღმდეგ როგორც უბრალო ჯარისკაცი".

აღსანიშნავია, რომ სპარსეთში, როდესაც იგი განმარტავდა ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებას, ამანულამ სთქვა—„გარდა ასეთი პირობებისა, მე საჭიროდ ჩავსთვალე დადებულიყო ჩვენს შორის აგრეთვე ხელშეკრულება ურთიერთ შორის საზოგადოებრივ თანა-

მშრომლობის შესახებაც, რათა ჩვენი ქვეყნების რეფორმები დაემყაროს ერთნაირ პრინციპებს ყველა მაჰმადიანთა შორის ერთი და მთლიანი საზოგადოებრივი სულისკვეთების შესამუშავებლადო.

თუ როგორ ჩატარდა ამანულას მოგზაურობა საბჭოთა კავშირში,— ჩვენ ყველამ კარგად ვიცით.

ამანულას ევროპაში მოგზაურობამ ცხადჰყო ერთის მხრივ მისი საერთო პოლიტიკური გეზი და მეორეს მხრივ გამოაშკარავა ისედაც ცხადი ინტერესი ინგლისისა აღმოსავლეთის და კერძოდ ავღანისტანის მიმართ.

შემდეგ ჩვენ დავინახავთ, თუ რა ზომებს მიმართა ინგლისმა მას შემდეგ, რაც ნებაყოფლობით ვერ მოსტეხა ავღანისტანის ურჩი მმართველი.

8.

ხოსტის აჯანყების შემდეგ ავღანისტანის მთავრობა იძულებული შეიქმნა ოდნავ შეეხელებია რეფორმების ტემპი. მაგრამ 1928 წელს ამ რეფორმების განხორციელებისა და სიჩქარით ჩატარების საკითხი ხელახლად ისევ მწვავედ წამოიჭრა. შეუძლებელი გახდა სახელმწიფო შემოსავლიანობის აწევა. ახალი გადასახადების დაწესება შეუძლებელი იყო, ვინაიდან გლეხობას მეტის ატანა აღარ შეეძლო. ამავე დროს ფულის სხვა წყარო არსად სჩანდა, ფული კი საჭირო იყო მანქანების შესაძენად, ჯარის შესანახად, იარაღის საყიდლად. გამოსავალი სჩანდა ერთად ერთი: უცხო კაპიტალის შემოშვება—კონცესიების გაცემა რკინის გზების ასაგებად, ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად, სესხის აღება სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობის აღორძინებისათვის და სხვ.

ავღანისტანის მთავრობა გარკვევით შესდგა ამ უკანასკნელ გზაზე ამანულას ევროპიდან დაბრუნების შემდეგ და დღის წესრიგში დააყენა რეფორმათა სწრაფი ჩატარება. ახალ მოწვეულ „ჯირგას“ სესიაზე განხილული საკითხები ნათელ სურათს იძლევიან ამ რეფორმების ხასიათზე და შლიან ჩვენს წინაშე ავღანისტანის პოლიტიკური ცხოვრების ბევრ საინტერესო მხარეებს.

„28 აგვისტოს 1928 წელს, — სწერს „ამან-ი-ავღან-ი [1]), — დილის 9 საათზე დაინიშნა ჯირგას სხდომა. ამ დროისათვის თეატრში, სადაც ეს კრება დანიშნული იყო, თავი მოიყარა დეპუტატებმა (1000 კაცამდე), მინისტრებმა და სტუმრებმა. ქალები ისხდენ დარბაზის ერთ მხარეზე, მამაკაცები — მეორე მხრით. სცენაზე იყო ფადიშაჰის ადგილი, იქვე ისხდნენ მინისტრები და მათს ახლო — სტენოგრაფისტი ქალები.

9 საათზე მოვიდა ფადიშაჰი, რომელმაც გახსნა ჯირგას სხდომა, განუმარტა დამსწრეთ ასეთი კრების საჭიროება და მოსთხოვა დეპუტატებს, რომ მათთვის სავალდებულოა კამათში მონაწილეობის მიღება.

„თათბირი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, — სთქვა სხვათა შორის ფადიშაჰმა, — საუკეთესო საშუალებაა სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ამაღლებისათვის. ამ გზით ჩვენ ვსპობთ ყოველგვარ უთანხმოებას, ვაყალიბებთ ერთ მთლიან აზრს ავღანისტანის მთელი მოსახლეობისას და დახმარებას მიწევთ მეც, ქვეყნის მართველობის საქმეში. ამიტომ მოგიწვიეთ თქვენ აქ, რომ თქვენი აზრი თავისუფლად გამოსთქვათ ყოველივე იმის შესახებ, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ბედნიერებასთან. თათბირები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ძველად, ვერ აღწევდენ

[1]) Бюллетени прессы № 4—5. 1928.

მიზანს, რადგან ეს იყო უბრალო საუბარი მეფეებისა თავის ქვეშევრდომებსა და ნათესავებთან. ეს საუბრები არ გამოხატავდენ ხალხის ნამდვილ ზრახვას და ასეთი გზა მე უარვყავი.

მე მინდა, რომ ყველაფერი, რაც აქ გადაწყდება მიღებულ იქნეს ერთხმად, რათა უმცირესობას, როშელიც არ ეთანხმება უმეტესობას უფლება არ ექნეს, ჯირგის დახურვის შემდეგ, უარი განაცხადოს ამ დადგენილებათა შესრულებაში იმ მიზეზით, რომ თითქოს აქ მიღებული აზრები და გადაწყვეტილებანი არა მათი, არამედ სხვისი აზრი იყოს.

პირველი საკითხი შეეხებოდა სახელმწიფო საბჭოს მაგიერ ეროვნულ საბჭოს დაარსებას. ამ საკითხის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა ამანულა-ხანი და განაცხადა შემდეგი: „ამ ათი წლის განმავლობაში მთელი ჩემი აზრი და მისწრაფება მიმართული იყო იმისაკენ, რომ გამელვიძებინა ჩვენი ხალხი და შემექმნა სახელმწიფო მტკიცე კანონიერებითა და წესწყობილებით. უკანასკნელი ჩემი აზრი ის იყო, რომ საჭიროა სახელმწიფო საბჭო შეიცვალოს ეროვნულ საბჭოდ. სახელმწიფო საბჭოს სტრუქტურა უფლებას აძლევს მთავრობას დანიშნოს საბჭოს წევრები, ასე რომ საბჭოში მთავრობის მიერ დანიშნულ წევრთა რიცხვი იყო ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი—არჩეული დეპუტატები. სახელმწიფოს საბჭო მე შევქმენი 1922 წელს. დღეს კი ჩვენი ხალხი იმდენად წინ წავიდა, რომ უკვე შეიძლება შეიქმნას ეროვნული საბჭო, სადაც არც ერთი წევრი მთავრობის მიერ დანიშნული აღარ იქნება. ვინ არის წინააღმდეგი?“

წინადადება მიღებულ იქმნა ერთსმად.

მეორე საკითხი შეეხებოდა დეპუტატების არჩევის წესს.

კანონპროექტი წაკითხულ იქმნა. ამ კანონის ზოგიერთი დამახასიათებელი პუნქტები: ეროვნულ საბჭოში ირჩევა 150 დეპუტატი 3 წლით. საარჩევნო უფლებით სარგებლობს ყველა სრულწლოვანი მამაკაცი. ჯარი და პოლიცია საარჩევნო უფლებას მოკლებულია. მეფის გვარეულობას უფლება არა აქვს იქმნას არჩეული. ზოგიერთ მათგანს ეს უფლება მიენიჭება ფადიშაჰის განსაკუთრებული ბრძანებით. ესა თუ ის მოხელე არ შეიძლება არჩეულ იქმნას იმ რაიონიდან, სადაც მსახურობს და სხვ.

კანონპროექტის უმთავრესი მუხლები მიღებული იქმნა და გადაეცა კომისიას სარედაქციოდ.

მეორე დღის კრებაზე მოსმენილ იქმნა წერილობითი მოხსენება სახელმწიფოს საერთო მდგომარეობის შესახებ, რომელიც წაიკითხა ფადიშაჰის მდივანმა.

მიღწევათა შორის აღსანიშნავია: აგება ვაზნების ქარხნისა, გახსნა სამხედრო მეთაურთა სკოლისა, ორასი ოფიცრის გაგზავნა უცხოეთში სწავლის მისაღებად, ორი მძლავრი რადიო-სადგურის აგება, ქაბულიდან სამი ხაზით რკინის გზის გაყვანის პროექტის დამუშავება, გერმანელებთან ხელშეკრულების დადება ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების შესახებ, ათი საავაჭრო კომპანიის შექმნა ადგილობრივი კაპიტალით, ყოველ პროვინციაში საავადმყოფოს გახსნა ექიმით, რომელსაც განათლება ევროპაში აქვს მიღებული (3 წლის განმავლობაში საავადმყოფოში გაიარა 700.000 ავადმყოფმა).

ამანულა ხანმა ევროპაში შეიძინა და გამოაგზავნა ავღანისტანში:

თოფები—50.500 (1000 ცალი ვაზნით თითეულ თოფისთვის), ზარბაზნები—106 (1000 გასასროლი თი-

თეულს), მიტრალიეზა—6, ჰაეროპლანი—8, ჯავშნოსანი ავტომობილი—6, ტანკი—6, სამხედრო ქუდები—10.000, წყლის სასმელი ჭურჭელი ჯარისკაცებისთვის—10.000, დურბინდი—300, შაქრის ქარხანა, ქაღალდის ქარხანა, ძაფის ქარხანა, ჩითის საქსოვი ქარხანა, შალის საქსოვი ქარხანა, ნატყლის საჩეჩი და გამრეცხი ქარხანა, ბამბის პრესები, მანქანები ქიმიურ ნივთიერებათა შესამზადებლად, ღილების დასამზადებელი მანქანა. წინდების საქსოვი მანქანები, არითმომეტრები, სეპარატორები, ნავთისა და წყლის ცისტერნები, ავტომობილები—81, რადიოაპარატები—800, ქირურგიული ინსტრუმენტები, რენტგენის აპარატი—4, წამლები (საექიმო) ერთი წლის საყოფი, თვალსაჩინო ხელსაწყო შკოლებისათვის, ტრაქტორები, მიწის მთხრელი მანქანები—12.

დადებულ იქმნა ხელშეკრულებანი:

ხელშეკრულება მეგობრობისა ეგვიპტესთან, ხელშეკრულება მეგობრობისა და პოლიტიკური მუშაობის გაერთიანების შესახებ ოსმალეთთან, ასეთივე ხელშეკრულება სპარსეთთან, ხელშეკრულება მეგობრობისა პოლონეთთან, იაპონიასთან, ლიბერიასთან.

შეთანხმებანი სხვადასხვა საკითხების შესახებ საფრანგეთთან, გერმანიასთან, ბელგიასთან, შვეიცარიასთან.

მოხსენება დიდი ზეიმით იქმნა დადასტურებული დეპუტატების მიერ.

შემდეგ მიღებულ იქნა კანონები მეექვთამეობის წინააღმდეგ, ეროვნულ საბჭოს სარეფერენდუმ კომისიის შესახებ, თავშესაფართა აგების შესახებ ობლებისათვის და შეშლილთათვის, საქონლის

აღრიცხვის შესახებ, ჯარში სამსახურის ვადის გადიდების შესახებ (3 წელი), აკრძალვა ფულის გადახდით ჯარში წასვლისაგან განთავისუფლებისა, დაწესება ყოველ დანაშაულზე სათანადო სასჯელისა" და სხვ.

ჯირგას მესამე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა თვით ფადიშაჰი, რომელმაც მოითხოვა რანგებისა და ტიტულების მოსპობა. ფადიშაჰმა მოითხოვა აგრეთვე გაუქმებულ იქმნას ტიტული „თქვენო უდიდებულესობა". კრებამ ფადიშაჰის წინადადებანი მიიღო, მხოლოდ უკანასკნელ წინადადებაზე უარი განაცხადა.

მეტად საინტერესო კამათი გაიმართა მოლებისა და სასულიერო სწავლულების ხარისხოვნობის გადასინჯვის გამო.

მომხსენებელმა ფადიშაჰმა აღნიშნა მოლათა უმეტესობის უმეცრება, ის ზიანი, რომელიც მოაქვს ამ გარეგმოებას და წინადადება შეიტანა—შეიქმნას განსაკუთრებული სამეცნიერო კომისიები სამღვდელოების წარმომადგენელთა ცოდნის შესამოწმებლად. ფადიშაჰმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გაოემოებას, რომ სასურველი არაა ავღანისტანის ტერიტორიაზე შემოშვებულ იქნან ის მოლები, რომელთაც ინდოეთში გაათავეს უმაღლესი სასულიერო სკოლა „დივ-მენდ". ვინაიდან ისინი რელიგიას ეფარებიან და სინამდვილეში კი ჯაშუშების როლს ასრულებენ, როგორც ეს იყო 1924 წელში ხოსტის აჯანყების დროს.

ამის გამო ქაბულის დეპუტატმა მოიყვანა მაგალითი, რომ სარი-ფულეს მეჩეთში აღმოჩნდა იმამი, რომელიც იყო ინგლისელი. ის მშვენივრად ასრულებდა რელიგიურ წესებს, მშვენივრად ლაპარაკობდა ჩვენს ენაზე, სარგებლობდა მოსახლეობის ნდობით და მხოლოდ შემთხვევით გამოირკვა, რომ ის ინგლისელია და ასრულებს ჯაშუშის როლს.

ჯირგამ დაადგინა—განდევნილ იქმნას ინდოეთიდან შემოსული სამღვდელო პირნი და ამიერიდან მათ რაიმე ადგილი ავღანისტანში არ მიეცეს.

საქორწინო ჰასაკის დაწესების საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ფადიშაჰი მოითხოვდა, რომ ვაჟებისათვის დაწესდეს ჰასაკი 22 წელი, ქალებისათვის 18. არც ერთი დეპუტატი ფადიშაჰს ამაში არ დაეთანხმა და ყველამ გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. ფადიშაჰის წინადადების დასაცავად გამოვიდა ქაბულის დეპუტატი გულიამ მაჰედინი, შაგრამ დარბაზში ასტყდა საშინელი ხმაური, მას ლაპარაკის საშუალება არ მისცეს და დეპუტატები მოითხოვდენ ორატორის გაყვანას.

ფადიშაჰმა განაცხადა, რომ მან შემოიტანა ეს წინადადება, როგორც ერთგვარი რჩევა. ვინაიდან, როგორც ეტყობა, ამ რჩევას კრება არ ღებულობს, ფადიშაჰი საკითხს მოხსნილად აცხადებს და ამის შესახებ კამათს სპობს.

საინტერესოა აგრეთვე ავღანისტანის ღერბის დამტკიცების საკითხი.

„ფადიშაჰმა წარმოადგინა,—სწერს „ამან-ი-ავღან“-ი ღერბის შემდეგი პროექტი: დროშა სამფეროვანი—შავი წითელი და მწვანე. შუაში—მთები, ზევით მზე და მზის მაღლა სიტყვა „ალაჰ“. მთები შემკულია პურის თავთავებით.

ფადიშაჰმა ასე განმარტა დროშის მნიშვნელობა:

„შავი ფერი მოასწავებს იმ შავ ხანას, როცა ავღანისტანი დამონებული იყო და ჩვენი გული—მოცული მწუხარებით. წითელი ფერი გულისხმობს იმ სისხლს, რომელიც დაიღვარა ავღანისტანის თავისუფლებისათვის, ხოლო მწვანე ფერი მოასწავებს იმედს—ახალგაზრდა ავ-

ღანისტანის სახელმწიფოს, რომელსაც სურს პროგრესი და ამაღლების გზით სვლა. მთები ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მთიანია, ხოლო მხე, დახატული მარჯვნივ, გულისხმობს ავღანისტანის ბედნიერებისა და დიდების მოახლოვებას. პურის თავთავები —სიმბოლოა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწადმომქმედთა ქვეყანაა".

პროექტი ერთხმად მიღებულ იქმნა, მხოლოდ ზოგიერთმა დეპუტატმა გამოსთქვა სურვილი, რომ სიტყვა „ალაჰის" შემდეგ იქნას ამოქარგული სიტყვა „მაჰომედ".

ფადიშაჰი ამას დაეთანხმა და საკუთარი ,ხელით დასწერა დროშაზე ეს სიტყვა.

ჯირგას სხდომები გაიხსნა 28 აგვისტოს და უნდა გაგრძელებულიყო 25 დღეს, მაგრამ სხდომებმა გასტანა მხოლოდ 5 დღე. ფადიშაჰი იძულებული შეიქმნა შეეწყვიტა ჯირგას მუშაობა, ვინაიდან ხელახალი ამბოხების ნიშნები მოითხოვდენ სასწრაფო ზომების მიღებას.

9

30 აგვისტოს ქაბულიდან გაიპარა რამოდენიმე ცნობილი სასულიერო პირი.[1]) მათ შორის ა ღ ა - გ უ ლ - ჰ ე ზ ე რ თ ი და ა ბ დ უ რ - რ ა ხ მ ა ნ ი: ორნივე აშკარა რეაქციონერი.

ისინი გაემგზავრენ ხოსტაში მოსაზღვრე ტომების ასაჯანყებლად ამანულა-ხანის წინააღმდეგ.

პირველად ისინი შევიდენ ა ხ მ ე დ - ზ ა ი ს ტომში, მაგრამ მათ პროპაგანდას არავინ გაჰყვა და მცხოვრებლებმა ისინი იძულებული გახადა დაეტოვებინათ ეს მხარე. აქედან აღა-გული და აბდურ-რახმანი ხ ო ჯ ი ს ტომში გადავიდენ, მაგრამ მათმა ცდამ აქაც უშედეგოდ ჩაია-

[1]) „Реакционное восстание в Афганистане". Вып. 1—2.

რა. ამის შემდეგ მათ მიმართეს ჯარის ნაწილებს. სამხრეთის ჯარების უფროსმა მუჰამედ-სადიყ-ხანმა ისინი მიიღო, ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, ღამე გაათევინა, მაგრამ დილით ორივე დაატუსაღა და ქაბულში გაგზავნა.

ქაბულში აბდურ-რახმანი დასჯილ იქმნა, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს აგრეთვე აღა-გულისაც, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით მისი დასჯა დროებით შეაჩერეს. ამავე დროს ქაბულში შეპყრობილ იქნა ბევრი საეჭვო პირი რომელთა საწინააღმდეგო დამოკიდებულება ახალ რეფორმებთან ცნობილი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ პროვინციაში გაქცეული სამღვდელო პირები თავისას სჩადიოდენ, პროპაგანდას ეწეოდენ და ხალხს ამბოხებისაკენ მოუწოდებდენ.

ამავე დროს კუხისტანშიც (ჩრდილოეთ პროვინცია) დაიწყო მოძრაობა. ეტყობოდა, ამბოხების გეგმა წინდაწინ იყო შედგენილი და კარგად გამოანგარიშებული, საერთო გამოსვლის დღეც გათვალისწინებული, რადგან აღმოსავლეთსა და სამხრეთ დასავლეთ პროვინციებში მოძრაობა თითქმის ერთსადა იმავე დროს დაიწყო.

იმ თავითვე ამბოხება ფართო მოძრაობად ვერ გადაიქცა, რადგან საჭირო ზომები სასწრაფოდ მიღებულ იქმნა, განსაკუთრებით დიდი ძალა გაიგზავნა აღმოსავლეთ პროვინციისკენ (ინდოეთის საზღვარი, საიდანაც უფრო მოსალოდნელი იყო საფრთხე) მაგრამ ავღანისტანის სხვადასხვა ტომებს ნერვიულობა დაეტყო.

1928 წლის ნოემბერში მდგომარეობა საესებით გამოირკვა. კუხისტანი და შინვარის ტომი მთლიანად აჯანყდა, ასე რომ ავღანისტანის შუა გული—ქაბული, საფრთხეში ჩავარდა ორი მხრიდან. (ამბოხების მეთაუ-

რებმა, ალბად, კარგად გაითვალისწინეს ხოსტის აჯანყების შეცდომები 1924 წელში. ეს აჯანყება დაიწყო მხოლოდ ერთი პროვინციიდან, რაც მთავრობას ისე არ ზღუდავდა თავის მოქმედებაში. ეხლა კი ცენტრს შემოუტიეს ორიეე ხრიდან. ჩრდილოეთ პროვინციის აჯანყება თითქოს გულისხმობდა იმასაც, რომ ამანულა-ხანს რაიმე დახმარება ჩრდილოეთიდან არ მიეღო).

როგორც კუხისტანის, ისე შინვარის აჯანყებულთა ძირითადი მასა არის გლეხობა. ზევით ნათქვამი იყო, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად ავღანისტანის გლეხობა, რომელსაც ახალმა რეფორმებმა ჯერ-ჯერობით არამც თუ რაიმე შემატა, პირიქით—დააზარალა კიდეც, რადგან გადასახადმა 1919 წლის შემდეგ იმატა 4-ჯერ. ამას გარდა აგრარული საკითხის მოუწესრიგებლობა და მთავრობის მოხელეთა თავგასულობაც ამხედრებდა გლეხობას ამანულა-ხანის მთავრობის წინააღმდეგ. და ასეთ დროს წარმოებული აგიტაცია, რომელსაც აწარმოებდა ინგლისის აგენტურა—სამღვდელოება, პოულობდა საუკეთესო ნიადაგს, მით უმეტეს რომ ფანატიურ გლეხობას არწმუნებდენ, თითქოს ამანულა გახდა „ურჯულო“, „ულალატა ისლამს“ და მისი რეფორმები „ალაჰის“ წინააღმდეგაა მიმართულიო.

გლეხობა აგვისტოდან მოყოლებული თანდათან თავს იყრიდა კუხისტანში ორი მეთაურის გარშემო — ბ ა ჩ ი-ს ა კ ა უ ს და ს ე ი დ-ჰ უ ს ე ი ნ ი ს.

ბაჩი-საკაუ არის მეთულუხჩეს შვილი. რაღაც დანაშაულის გამო ის მიცემულ იქმნა სასამართლოში, და ვინაიდან, მისი აზრით, ის უკანონოდ იქმნა დასჯილი, ბაჩა-საკაუმ მოჰკლა ადგილობრივი მსაჯული და მოლა და გაიქცა ინდოეთში. იქ ის მსახურებდა ინგლისის ჯარში

(ბეშავერში) სამი წლის განმავლობაში, იქვე მიიღო უნტერ-ოფიცრობა. ალბად ინგლისელებმა შეასწავლეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ბაჩე-საკაუ ავღანისტანში დაბრუნებულიყო, შემოეკრიბა თავის გარშემო რამოდენიმე ყაჩაღი და გამოეცხადებინა თავი „საწყალი ხალხის დამცველად“.

ნოემბრამდე ის დიდი მაშტაბის ოპერაციებს ერიდებოდა, მაგრამ მისი რაზმის რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. ნოემბერში კი, როცა შირვანი მთლიანად აჯანყდა,— ბაჩე-საკაუმაც მოქმედება დაიწყო და განაცხადა, რომ ის შინვარის მომხრეა.

შინვარელების გამოსვლა დაიწყო 13 ნოემბერს. ამ დღეს მაზრის უფროსთან იყო დანიშნული ჩვეულებრივი ყრილობა გადასახადის აკრეფის გამო. ამ ყრილობაზე ხალხს თავი უტიფრად ეჭირა და ადრე დაიშალა. ყრილობა გაიმართა სხვა ადგილზე და ცოტახნის შემდეგ ბრბო თავს დაესხა სამმართველოს, გაანადგურა ის, შეესია სკოლას, დასწვა „პარტები“ და წიგნები და მიადგა იქვე დაბანაკებულ ჯარის ნაწილს. ატეხილ სროლაში მოკლულ იქმნა 8 მეამბოხე.

ასეთივე ამბავი მოხდა სიმაგრე დაას რაიონში, სადაც ჯარმა განდევნა ამბოხებულები ინდოეთის საზღვრამდე.

ქაბულიდან სასწრაფოდ იქმნა გაგზავნილი ჯარის ნაწილები. ჯელალაბადი გადიქცა მთავრობის მოქმედების ცენტრად. მოხდა ადგილობრივი მობილიზაცია. ჰაეროპლანიდან გადმოყრილი პროკლამაციები მოუწოდებდენ ხალხს მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ შინვარის მოძრაობის შეჩერება არ მოხერხდა—მთელი ტომი (300.000) ფეხზე დადგა და მოადგა ჯელალაბადს, სადაც იდგა დიდი გარნიზონი ალი-ახმედ-ხანის მეთაურობით.

შინვარელებმა ჯელალაბადის აღება ვერ მოახერხეს, ხოლო ალი-ახმედ-ხანის მოხერხებულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა დროებითი ზავის ჩამოგდება მთავრობასა და მეამბოხეთა შორის. შინვარის ხანი პირადათ წავიდა ქაბულში და წარუდგინა ამანულა-ხანს თავისი ტომის მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი იმავე ხასიათისა იყო, როგორც 1924 წელს ხოსტაში აჯანყებულებისა.

ვინაიდან მდგომარეობა გამწვავდა, კუხისტანიც დღითი დღე უახლოვდებოდა ქაბულს,—ამანულამ შეჰყარა ქაბულში კლერიკალურ-ფეოდალური ელემენტებისაგან შემდგარი „ჯირგა", რომელმაც გააუქმა მთელი რიგი ამანულას რეფორმებისა. ამას, ფადიშაჰის ფიქრით, უნდა დაეკმაყოფილებინა ამბოხებული ტომები:

დაარსებულ იქმნა სენატი, რომელიც უნდა შემდგარიყო უმთავრესად სამღვდელოებისა და ფეოდალების წარმომადგენლებისაგან. მთავრობის არც ერთი დადგენილება არ შედიოდა ძალაში სენატის დასტურ-დაუცემლად.

სენატს უნდა გადაესინჯა არსებული კანონმდებლობა და გაეუქმებინა ისეთი მუხლები, რომელნიც სენატის აზრით ეწინააღმდეგებოდენ შარიათს.

უცხოეთში გაგზავნილი ქალები უკანვე უნდა დაბრუნებულიყვენ. ამიერიდან უცხოეთში სასწავლებლად ქალები არ გაიგზავნებოდენ.

გაუქმებულ იქმნა კანონი, რომლის ძალითაც ინდოეთში სწავლა-დამთავრებულ მოლებს ეკრძალებოდათ ავღანისტანში შემოსვლა და სამსახური...

ქალები ვალდებული იყვენ ეტარებიათ ჩადრა.

გაუქმებულ იქმნა კანონი, რომლის ძალითაც ულემებსა და მოლებს უფლება არ ჰქონდათ მასწავლებლობისა, თუ სათანადო მოწმობას არ წარადგენდენ. ამიერიდან არავითარი მოწმობის წარდგენა საჭირო არ იყო.

დაწესებულ იქმნა „მუხთასიბთა“ ინსტიტუტი (ზნეობისა და რელიგიის კანონთა მეთვალყურენი, რომელთაც უფლება აქვთ სასჯელის დაწესებისა. ირჩევს სამღვდელოება).

დაიხურა ქალთა სკოლები;

აიკრძალა ევროპიული ტანსაცმელის ტარება.

გაუქმდა კანონები, რომელიც უკრძალავდენ სამხედრო პირებს ყოფილიყვენ ამა თუ იმ რელიგიურ მეთაურთა მიმდევრები, და სხვ.

მოხდა თითქოს სრული კაპიტულიაცია, მაგრამ ამბოხება მაინც გრძელდებოდა და ვითარდებოდა. ამბოხებულები მოითხოვდენ ამანულა-ხანის გადადგომას და მთავრობის შეცვლას.

ბაჩე-საკაუსა და სეიდ-ჰუსეინის ხელმოწერილი მოწოდება მოუხმობდა ხალხს აჯანყებისაკენ „ისლამის სახელით“ „უღვთო მთავრობის“ წინააღმდეგ. მათი მოთხოვნილება იმგვარივე შინაარსისა იყო, როგორც შინვარელების, მხოლოდ ზედ ემატებოდა რამოდენიმე მუხლი, მაგალითად: სამღვდელოების კონტროლის დაწესება მთავრობის ყოველგვარ ნაბიჯებზე, ოსმალო ოფიცრების მოხსნა ყველა ხელმძღვანელ ადგილებიდან და სხვ.

როგორც ვხედავთ, ბაჩე-საკაუს ლოზუნგებში არაფერი არაა ისეთი, რაც სასარგებლოა „საწყალი ხალხისათვის“. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის, რომ ეს მეთაურიც ასრულებდა ინგლისელთა დირექტივას. მის ლოზუნგებში არაფერი არაა ნათქვამი მიწის საკითხის შესახებ, ფეოდალებზე და საერთოდ იმ ზომებზე, რომელიც გააუმჯობესებდენ ,,საწყალი ხალხის'' მდგომარეობას.

ბაჩე-საკაუმ ისარგებლა იმით, რომ ამანულას მთავარი ძალები აღმოსავლეთ პროვინციაში იყო გაგზავნილი და პირდაპირ შეუტია ქაბულს.

9 დეკემბერს მას უხდება პირველი ბრძოლა მთავრობის ჯართან ქაბულიდან 5-6 ვერსის დაშორებით. 25 დეკემბრამდე ომი სწარმოებს ქაბულის ირგვლივ, იანვრის პირველ რიცხვებში კი ის შედის ქაბულში და აცხადებს თავს ფადიშაჰად.

ეს გარემოება შინვარელებისათვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამ ყაჩაღის ფადიშაჰად დაჯენა არც მათ გეგმებში შედიოდა. შეიძლება ამიტომაც არ დაუპირეს მათ მხარი ბაჩე-საკაუს ქაბულის აღების დროს.

ქაბულის აღებამ აიძულა ამანულა-ხანი ტახტი დაეთმო ინა-იატულასთვის (ფადიშაჰის ძმა) და შემდეგ გაქცეულიყო ყანდაარს.

აქ ამანულამ გააუქმა თავის ტახტიდან გადადგომის დეკრეტი და შეუდგა ახალი ძალების შეგროვებას ხელისუფლების დასაბრუნებლად.

ამით თავდება ავღანისტანის აჯანყების პირველი ხანა და იწყება ახალი, სადაც სამოქალაქო ომი, ალბად, უფრო მკაცრსა და გადამწყვეტ ხასიათს მიიღებს.

10

შეცდომა იქნებოდა, რომ ამ მიმოხილვის დასასრულ არ აღგვენუსხა ავღანისტანში მოვხდარ აჯანყებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტები, რომელნიც ცხადჰყოფენ ინგლისის როლს ამ საქმეებში.

1. 14 ნოემბერს მოხდა პირველი გამოსვლა შინვარის. პირველ ნოემბრიდან კი ინგლისის დიდძალი ჯარი თავს იყრის ავღანისტანის საზღვარზე და 26-ში იწყებს გრანდიოზულ მანევრებს. ეს დემონსტრაცია, ალბად, მოწყობილი იქნა ამბოხებულთა წასაქეზებლად და აგრეთვე იმისათვისაც, რომ თუ საჭირო იქნებოდა ჯარი შეიკრე-

ბოდა ავღანისტანშიაც. საზღვარს მოადგა 5 დივიზია და 4 საჰაერო ესკადრილია.

2. მანევრების ამოცანა იყო: ომი საბჭოთა კავშირთან.

3. ამ დროს ჩადის ინდოეთში საფრანგეთის ცნობილი გენერალი გ უ რ ო. თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულებას და ორივე სახელმწიფოს სიძულვილს საბჭოთა კავშირის მიმართ,— ეს ვიზიტიც დამახასიათებელია.

4. სავსებით აშკარავდება პოლკოვნიკ ლ ო უ რ ე ნ ს ი ს როლი ავღანისტანის ამბებში. ის დოკუმენტები, რომელიც გამოქვეყნდა ავღანისტანის პრესაში და თვით ლოურენსის პიროვნება საბოლოოდ ამტკიცებენ იმას, რომ ავღანისტანში მომხდარ აჯანყების მთავარი ორგანიზატორი ლოურენსი იყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა ავღანისტანის საზღვარზე და თვით ავღანისტანშიაც.

5. შინვარის აჯანყებას წინ უსწრობდა მასსიური გავრცელება ამ რაიონში ფადიშაჰისა და დედოფალის ფოტოგრაფიული სურათებისა. ისლამის კანონებით ადამიანის გამოხატულების ჩვენება აკრძალულია. ფოტოგრაფიული სურათის გავრცელებამ კი საბაბი მისცა სამღვდელოებას პროპაგანდა დაეწყო ამანულას წინააღმდეგ. ეს სურათები შემოტანილი იყო ინდოეთიდან.

6. როგორც კი ქაბულში ამანულას საქმეები გაუარესდა, ინდოეთის ინგლისურმა გაზეთებმა დიდი განგაში და რეკლამა ასტეხეს ავღანისტანის ტახტის მაძიებელის იაკუბ-ხანის ირგვლივ. მას სთვლიდენ ძველი ემირების პირდაპირ შთამომავლად და ტახტის ერთად ერთ მემკვიდრედ. შემდეგ, რასაკვირველია, მას მოჰყვა ინგლი-

ელთა ხარჯზე მცხოვრებ სხვა მაძიებელთა რეკლამაც. ყოველივე ეს ნერვიულობას ჰქმნიდა ავღანისტანში.

7. ინგლისის ელჩს ჯემფრეის მოქმედება ამბოხების დროს აშკარად მოწმობს მის უახლოეს კავშირს მეამბოხეებთან. მარტო ის რათ ღირს, რომ კუხისტანელებმა მოითხოვეს: ამანულას მიერ რეფორმების გაუქმებას არ დავიჯერებთ მანამდე, სანამ ამაში ინგლისის საელჩო წერილობით არ დაგვარწმუნებსო.

8. ინგლისის ჰაეროპლანები შეუწყვეტლივ დაფრინავდენ ქაბულსა და პეშავერს შორის. ყრიდენ ზევიდან სხვა და სხვა მოწოდებებს და აშკარად ერეოდენ ავღანისტანის შინაურ საქმეებში ამბოხებულთა სასარგებლოდ. („როგორ შეიძლება,—სწერდა გაზეთი „ანის"-ი,—რომ სამხედრო ჰაეროპლანები იმ მთავრობისა, რომელიც აგერ მეათე წელიწადია ციხე სიმაგრეებს აშენებს ჩვენ საზღვაზე, დათარეშობდენ ჩვენს ტერიტორიაზე იმ დროს, როცა ყველამ კარგათ ვიცით, რომ ამ მთავრობის ყოველი ნაბიჯი ჩვენს წინააღმდეგაა მიმართულიო").

ძნელოდ ასეთი ფაქტების ჩამოწერას მოუნდებოდა მთელი წიგნი, მაგრამ ნათქვამიდანაც აშკარა ხდება ინგლისის იმპერიალიზმის განზრახვანი შუა აზიაში და კერძოდ ავღანისტანში.

ძნელია იმისი თქმა, თუ რითი გათავდება გამძვინვარებული რეაქციონური მოძრაობა ავღანისტანში. ერთის თქმა აქედანვე შეიძლება: ავღანისტანის მტრები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს შეასუსტონ ამანულა-ხანის გავლენა იმ ადგილებშიაც, სადაც მას მხარს უჭერენ სხვა დასხვა ტომები და საბოლოოდ დასცენ პროგრესიული მმართველის ავტორიტეტი; შეეცდებიან გაამწვავონ დამოკიდებულება ავღანისტანში მოსახლე ეროვნებათა შო-

რის და წაუსიონ ერთი მეორეს მეზობელი ტომები; შეეცდებიან, რომ გახანგრძლივდეს სამოქალაქო ომი ავღანისტანში და როცა სახელმწიფო სავსებით დაიქანცება დაჰყოს იგი პატარა სამთავროებათ ანდა გაამეფონ იქ ისეთი პიროვნება, რომელიც ყურმოჭრილი მონა იქნება ამ კაპიტალისტური სახელმწიფოსი, რომელსაც უშუალო და უახლოესი ინტერესები აქვს ავღანისტანში.

მოსალოდნელია ისიც, რომ გლეხობა, რომელსაც ეკონომიურად არაფერი არ მისცია არც ამანულას მთავრობამ და არც ბაჩე-საკაუმ, რომელიც ყოველთვის მოტყუებული დარჩა თავის წინამძღოლების მიერ,—გაერთიანდეს სხვა ლოზუნგების ქვეშ და ამხედრდეს ახალი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად.

11

დასასრულ, მე საჭიროდ მიმაჩნია ეს მოკლე მიმოხილვა დავამთავრო წერილით, რომლითაც ამა წლის 28 თებერვალს გაზ. „Известия"-მ აღნიშნა ავღანისტანის დამოუკიდებლობის ათი წლის თავი.

ეს წერილი აღსანიშნავია იმითაც, რომ მასში მოცემულია ის საზომი, რომლითაც უნდა მიუდგეს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივობა ავღანისტანის საკითხს და იმ ამბებს, რომელთა ასპარეზად დღეს გადაქცეულია ეს ქვეყანა.

ავღანისტანის დამოუკიდებლობის ათი წელი

ავღანისტანის დამოუკიდებლობის ათი წლის-თავი ავღანისტანს უწევს იმ მომენტში, როდესაც ეს ქვეყანა შინაგან კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი შეიძლება ყველაზე საშიში იყოს ყველა იმ წელთა განმავლობაში, რომლის დროსაც ავღანისტანის ხალხი გამძაფრებულად იბრძოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების უფლებისათვის.

ათი წლის წინად დაეცა ბრიტანეთის ვასალიტეტის რეჟიმი და ავღანისტანი მას შემდეგ უკვე აღარ არის ცენტრალურ აზიაში ბრიტანეთის ინტერესების იარაღი. ამანულას მიერ ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ინგლისმა ეგრედწოდებული ინგლის-ავღანელთა მესამე ომით გასცა პასუხი.

ს. ს. რ. კავშირის მიერ ავღანისტანის დამოუკიდებლობის აღიარებამ და ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე ინდოეთში ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობის აღმავლობის მეოხებით ბრიტანეთის იმპერიალიზმის დასუსტებამ ინგლისი იძულებული გახადა ავღანისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს შეერიგებოდა. ინგლისის მეშვეობით თავისი საგარეო პო-

ლიტიკის წარმოების ვალ დებულების მოსპობა, ავღანის ტანის მთელი შინაგანი წყობილების ძირითადი გარდა-- ქმნა, ეროვნული თანასწორუფლებიანობა, მონობისა და წამების ინტიტუტის მოსპობა, თანამედროვე სასამართლოს, ადმინისტრაციის, სკოლების შექმნა, კლერიკალურ რეაქციასთან თანმიმდევრობითი ბრძოლა, არმიის რეორგანიზაცია, საკონსტიტუციო რეჟიმის ჩანასახი,—აი, ასეთია უსრული სია იმ უმთავრესი რეფორმებისა, რომელთა საბოლოო მიზანი იყო ავღანისტანის გადაქცევა მუსულმანური კონსერვატიზმისა და რეაქციის ბურჯიდან— პროგრესიული ნაციონალურ სახელმწიფოდ. ამანულას მთავრობას წინ ეღობებოდენ უდიდესი დაბრკოლებანი, გამომდინარენი ავღანელთა ეკონომიკის ჩამორჩენილობისა, ავღანელი გლეხკაცის მათხოვრული ბიუჯეტისა და ეროვნული ბურჟუაზიის სისტემისაგან იმ ქვეყანაში, სადაც არც გზები არსებობდა, არც სხვა რამ მიმოსვლის საშუალებანი. ამასთანავე მცირედი იყო წრე იმ ადამიანებისა, რომელნიც ერთგულობდენ დამოუკიდებლობასა და ქვეყნის განახლებას. მთელი ამ ათი წლის განმავლობაში ამანულას მთავრობა იმისთვის მუშაობდა, რომ თავისი ქვეყანა ამოეთრია შუასაუკუნოებრივობიდან და ცენტრალიზებულ ეროვნულ სახელმწიფოდ ექცია. მაგრამ ავღანისტანის შინაგანი მდგომარეობის კონსოლიდაციასთან ერთად იზრდებოდა მისი დამოუკიდებლობის საფრთხეც.

ინგლისის ინტერესს როდი შეადგენს დამოუკიდებელი მუსულმანური სახელმწიფოს შექმნა ინდოეთის ბჭეებთან. ჩვენს პრესას არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება იმაზე, რომ ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე ბრიტანეთის იმპერიალიზმის აგრესია შეუჩერებლად

იზრდება. ინგლის-ინდოეთის შტაბის გამუდმებულმა სამხედრო მზადებამ ავღანისტანის დამოუკიდებლობისათვის საფრთხე შეჰქმნა.

თავის დროს ჩვენ ვწერდით, რომ ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარს თავს დასტრიალებს ბიკონსფილდის სული, რომლის ოცნებას შეადგენდა ინდოეთის დაცვის ხაზის გადატანა ჰინდუკუშის ხაზზე, რათა შემდგომ იგი გადაეტანა ამურ-დარიაზე, საბჭოთა შუა აზიის გულში.

ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ ცენტრალურ აზიაში ბრიტანეთის იმპერიალიზმის ყველაზე მეტად აგრესიული გეგმების რეალიზაციისა. ბიკონსფილდ-კერზონის პროგრამას ანხორციელებს ბოლდუინი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „ქვეყნიერება მალე შურით დაინახავს ინდოეთის იმპერატორის გვირგვინში ახალ ბრილიანტსაო“, არავისათვის არ ყოფილა მაშინ საეჭვო, რომ ბოლდუინს მხედველობაში ავღანისტანი ჰქონდა, და თითქოს ინგლისის პრემიერის პასუხად ამანულამ, როდესაც მას შეეკითხნენ მოგზაურობის მიზნის შესახებ, განაცხადა: „მე მივდივარ, რათა ვუჩვენო ევროპაში ყველას, რომ მსოფლიო რუკაზე ავღანისტანს თავისი საკუთარი ადგილი უჭირავსო“.

საბჭოთა კავშირი პირველი იყო, რომელმაც უპირობოდ და მთელი იმ თანმიიდევრობით, მის საგარეო პოლიტიკას რომ მოსდგამს, აღიარა ავღანისტანის უფლება ხალხთა ოჯახში თავისუფალ ადგილზე. ამანულამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოეთსა და ევროპაში; მისდამი ტრადიციული სიმპატიები ოსმალეთისა და სპარსეთისა—გაძლიერდა; ევროპაში ამანულას უეჭველმა წარმატებამ არაჩვეულებრივად განაწტკიცა ავღანისტანის საერთაშორისო პრესტიჟი და მისი მნიშვნელობა, როგორც

აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტორისა.

ქაბულს დაბრუნებისას ამანულა იმ ენერგიით, რომელიც მას მოსდგამს, შეუდგა არმიის რეორგანიზაციის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის პროგრამის განხორციელებას, შინაური მმართველობის და ყოფის რეფორმების შემდგომ გატარებას. სპეციალურად მოწვეულ სახალხო კრებაზე მან წარადგინა თავისი მოგზაურობის ანგარიში და აგრეთვე რეფორმათა ფართო პროგრამა. და სწორედ ამ მომენტში ასტყდა აჯანყება, რომელიც ეს უკვე რამდენიმე თვეა, ანარქიის მდგომარეობაში ამყოფებს ავღანისტანს. ანგლოფილური „ეკო დე პარი"-ც კი იძულებული იყო აღეარებინა: „ინტელიჯენს სერვის"-ის (ინგლისური კონტრ-დაზვერვაა) მოღვაწეებს ბევრი რისამე თქმა შეუძლიათ იმის შესახებ, თუ როგორ გაფაციცებით მზადდებოდა აჯანყება ავღანისტანშიო".

ფეოდალურ - კლერიკალურ - რეაქციონური ძალები ვერ შესძლებდენ ავღანისტანის გლეხობის მძიმე მდგომარეობით ესარგებლათ და ამანულას რეფორმების წინააღმდეგ ასეთი მძლავრი მოძრაობა შეექმნათ, მათ რომ გარეშე ძალა არ დახმარებოდა ფრიად აქტიურად. ეს უკვე რამდენიმე თვეა გარედან ნაკვები რეაქციონური მოძრაობა ძლიერდება. მან ავღანისტანი დაღუპვის პირას მიიყვანა.

დამოუკიდებელი ავღანისტანის სახელმწიფოს სუსტი შენობა ფრიად ღრმა კრიზისს განიცდის. ამ კრიზისს ართულებს ერთაშორისი, ტომთაშორისი და დინასტიური ანტაგონიზმები. ამ მოძრაობის უშუალო შედეგი ისაა, რომ უკვე დაიპყრეს ავღანისტანის ტერიტორია ასმარი და მზადდება ინდოეთის მომიჯნავე ზონის აღმოსავლეთ

ოლქების ანექსია. სარგებლობენ ავღანისტანის შინაგინი დაბრკოლებებით იმისათვის, რომ დაასუსტონ იგი ინდოეთის მოსაზღვრე პროვინციების ჩამოშორებით. ეს პროვინციები უჭირავთ ვითომ ინდოელ ტომებს, რომელნიც, რასაკვირველია, მოქმედებენ ინგლის-ინდოეთის შტაბის აგენტების ხელმძღვანელობით.

ავღანისტანის დაქსაქსვა და მისი გადაქცევა ერთმანეთის მოქიშპე პროვინციათა კონგლომერატად, რომელნიც უძლურნი იქნებიან იმპერიალიზძის ძალადობას წინააღმდეგობა გაუწიონ—ასეთია ინგლის-ინდოეთის დიპლომატიის ამოცანა. ობიექტიურად ამ დიპლომატიის სასარგებლოთ მოქმედებს ავღანისტანის რეაქცია.

მდგომარეობა ფრიად მძიმეა. მაგრამ ავღანისტანის ხალხის შეგნება დღითი-დღე იზრდება. იგი ხვდება, რომ მისი შინაური საქმეებით სარგებლობს მესამე ძალა და ამ მესამე ძალის არსებობა მეზობელ ინდოეთში ვერ ეგუება ავღანელთა დამოუკიდებლობას.

არავითარი ეჭვი არაა, რომ ავღანელთა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის ათი წლის რეჟიმის მიერ შექმნილი პროგრესიული ძალები ჯერ კიდევ იტყვიან თავის სიტყვას.

ავღანისტანს მოელის დანაწილება და იმპერიალისტური ექსპლოატაციის ობიექტად გადაქცევა; ეს აუცილებლად ასე იქნება, თუ ავღანელთა შორის რეაქცია გაიმარჯვებს. ამის შეგნება დღითი-დღე ყველასათვის საერთო ხდება. ეს შეგნება მალე კუთვნილება იქნება ავღანთა მთელი ხალხისა, რომლის ინტერესსაც სრულიად არ შეადგენს ავღანისტანის გადაქცევა ,,ინდოეთის იმპერატორის გვირგვინის ბრილიანტად'', რაც უფრო ადრე მიხვდება მთელი ქვეყანა ამ უბრალო ჭეშმარიტებას, მით უფრო ადრე დაიწყება გამაერთიანებელი პროცესი.

ავღანელთა დამოუკიდებლობის წლისთვის დღეს საბჭოთა საზოგადოებრივობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ავღანისტანში ადრე თუ გვიან პროგრესიულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ავღანელთა სახელმწიფოს 1919 წლის თებერვალში, მოსარჩლენი აღმოუჩნდებიან და ავღანისტანს დაუბრუნებენ მსოფლიო რუკაზე იმ ადგილს, რომლის დაჭერის უფლებაც მას აქვს.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა და აღმოსავლეთის ხალხთა სიმპატიები იმათ მხარეზეა, ვინც ავღანისტანში ამისათვის იბრძვის.

(„Известия" 1928, 28 II.)